გაზეთი ბევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№48 (943) 12 - 13 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სამართალი

თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში

გვ. 3

ბომბი, რომელსაც ნაციონალები არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ააფეთქებენ

რომელ მინისტრსა და დეპუტატზე არსებობს ფარული ჩანაწერები და რა მისიით ჩავიდა მეგის ქარდავა სოფიიდან სამეგრელოში

გვ. 3

„აბონენტთა კერძო საუბრების მოსმენის შესაძლებლობა ფიჭურ კომპანიებსაც აქვთ!"

შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორია ფიჭური კომპანიებისთვის კანონმდებლობის დახვეწას ითხოვს

გვ. 2

დიმიტრი შაშკინი: „საქართველოში ნატო-ს ბაზები არ განლაგდება!"

გიორგი გაჩეჩილაძე თბილისში საფუარის ქარხნის აშენებას გეგმავს

გვ. 4

„რა შეკითხვებს სვამთ?" — რატომ გაღიზიანდა და მოხსნის თუ არა ნარმანიას სასარგებლოდ კანდიდატურას „მწვანეთა პარტიის" ლიდერი

„პოლიტიკაში ვითარება მარაზმამდეა მისული!"

საარჩევნო ბლოკ „თვითმმართველობა ხალხის" ლიდერი პაატა დავითაია ხელისუფლებას ოპოზიციის მოსყიდვაში ადანაშაულებს

გვ. 2

მერიის მისაღებში ხალხს ტანჯავენ!

რომან ჩხენკელი: „ბიზნესს ვერარავინ დააჩაგრავს!"

პრემიერის ეკონომიკური მრჩეველი ახალ სტრატეგიულ ობიექტებს ასახელებს

გვ. 6

„აბონენტთა კერძო საუბრების მოსმენის შესაძლებლობა ფიჭურ კომპანიებსაც აქვთ!“

შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორია ფიქური კომპანიებისთვის კანონმდებლობის დახვეწას ითხოვს

რუსუდან შელია
557-100-768

საქართველოს მთავარი პროკურატურა შსს-დან დაკარგული, უკანონოდ შეძენილი სატელეფონო და ფარული ვიდეომიყურადებისთვის განკუთვნილი სპეციალური პორტატული ტექნიკის აღმოსაჩენად ძიებას იწყებს. როგორც პროკურატურაში აცხადებენ, დიდი ალბათობაა, აღნიშნული ტექნიკით ყოფილი ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი პირები სარგებლობენ, თუმცა აბონენტების უწყვეტ რეჟიმში მოსმენის შესაძლებლობა კერძო ფიჭურ კომპანიებსაც აქვთ. რა პრევენციულ ზომებს მიმართავს სახელმწიფო უკანონო მოსმენების აღსაკვეთად და არსებობს თუ არა გარანტია, რომ სამართლებრივი რეგულაციების მიღების შემთხვევაში მოქალაქის უკანონო მიყურადება არ განხორციელდება? — „ვერსიის“ კითხვებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია პასუხობს.

— 2013 წლის 29 აპრილს, ირაკლი ღარიბაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ დიდი ალბათობით, ნაციონალური მოძრაობის გავლენის ქვეშ მყოფი სუბიექტები მოქალაქეების საუბარს ჯერ კიდევ ისმენენ. მაშინ მსგავსი განცხადების გაკეთების საშაულებას შემდეგი გარემოება გვაძლევდა: როცა შსს-ში მუშაობას შევუდექით, 28 ათას ფარულ ჩანაწერთან ერთად აღმოვაჩინეთ, რომ ნაწილი ე.წ. პორტაბელური ანუ ხელით გადასატანი აპარატურით იყო ჩაწერილი. აღნიშნულ ტექნიკას გარკვეული რადიუსის ფარგლებში პირის მოსმენის შესაძლებლობა აქვს და ის ნაციონალურმა მოძრაობამ 2010-2011 წლებში შეიძინა. აპარატურის ღირებულება, დაახლოებით, ერთი მილიონია, თუმცა, თუ მისი მასშტაბი დიდია, ღირებულებაც შესაბამისად იზრდება, ამიტომ, როცა აღნიშნული ტექნიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში ვერ აღმოვაჩინეთ, საჯაროდ განვაცხადეთ, რომ დიდი ალბათობით, ის კერძო სუბიექტების ხელშია.

— რა რაოდენობის ტექნიკაზეა საუბარი ან რამდენად რეალურია მოლოდინი, რომ პროკურატურა მის აღმოჩენას შეძლებს?

— სამინისტროდან გატანილი აპარატურის ზუსტი რაოდენობა უცნობია. ბუნებრივია, მისი აღმოჩენა მარტივი არაა და საკმაოდ დიდ დროსაც ითხოვს. აღნიშნული ტექნიკის გარდა, ისიც განვაცხადეთ, რომ მოსასმენ აპარატურასთან ერთად, შესაძლებელია, სამინისტროში აღმოჩენილი 28 ათასი ფაილის ასლებიც კერძო სუბიექტის საკუთრებაშია. ამ მხრივ ამნისტიაც გამოვაცხადეთ და ფაილების წარმოსადგენად სამთვიანი ვადაც მივეცით, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უკანონო მასალები დღემდე არავის ჩაუბარებია.

— შსს-დან დაკარგული აპარატურის გარდა, აბონენტების მოსმენის შესაძლებლობა კერძო ფიჭურ კომპანიებსაც უწყვეტ რეჟიმში შეუძლიათ. ამ მიმართულებით სახელმწიფო რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს?

— დიახ, ექსპერტებიც არ უარყოფენ, რომ აბონენტთა კერძო საუბრების მოსმენის შესაძლებლობა ფიჭურ კომპანიებს აქვთ. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა არამხოლოდ სახელმწიფოს ან თანამდებობის პირს, არამედ იმ სუბიექტსაც ეკისრება, რომელსაც კავშირგაბმულობის ქსელზე ხელი მიუწვდება. მსგავსი პრობლემის წინაშე ევროპის განვითარებული ქვეყნებიც დგანან. მაგალითად, გერმანიაში, სადაც მოსმენებთან დაკავშირებით მართლაც იდეალური კანონმდებლობაა, მაღალი თანამდებობის პირის კერძო საუბარი უკანონოდ ჩაიწერეს. როცა ერთ-ერთი ტელეკომპანიის ხელმძღვანელი წყაროზე დაყრდნობით აცხადებს, რომ უკანონო თვალთვალს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებდა, მაგრამ თავს იმართლებს, ჟურნალისტი ვარ და ინფორმაციის წყაროს არ დავასახელებო, ამ შემთხვევაში, არგუმენტი არსებობს — იქნებ, ფარული ჩანაწერი თავად ან კერძო სუბიექტმა გააკეთა? როგორ ამტკიცებს, რომ უკანონო თვალთვალი სახელმწიფომ განახორციელა? მაღალი ალბათობით, ეს თემა წინასაარჩევნოდ წამოწიეს და ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ, რომ შსს მოქალაქეებს ისევ უსმენს, მაგრამ საამისოდ საკმაოდ უსუსური „მტკიცებულებები“ აქვთ.

— ნაციონალური მოძრაობის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილიც აპელირებს, რომ მოქალაქეების უკანონო მოსმენა დღემდე გრძელდება...

— არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანია სამართლებრივ რეგულაციებს უკავშირდება. მათთანაც ფორმულირების პრეტენზია გვქონდა. როგორ შეიძლება, უკანონო მოსმენების პრაქტიკის გაგრძელებაზე ისაუბრო, როცა შესაბამისი მტკიცებულებები არ გაგაჩნია? სწორედ ამიტომ, მათ დააზუსტეს, რომ სამართლებრივ კონტროლს გულისხმობდნენ, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ვითხოვდით. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მიმართულებით რეგულაციებს, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრი ითხოვდა. სამართლებრივ რეგულაციებზე დღემდე შეჯერებისა და შეთანხმების პროცესში ვართ, კანონპროექტი კი უახლოეს მომავალში პარლამენტს განსახილველად გადაეგზავნება.

— ბატონო ლევან, გვაძლევთ გარანტიას, რომ სამართლებრივი რეგულაციები უკანონო მოსმენების პრევენცია იქნება ან კერძო ფიჭური კომპანიების კონტროლს კანონმდებლობით შეძლებთ?

— იდეალური სამართლებრივი რეგულაციებიც რომ შევიმუშაოთ, მოქალაქე უკანონო მოსმენისგან გარანტირებულად დაზღვეული ვერ იქნება. როგორც გითხარით, ამ პრობლემის სრულად მოგვარება გერმანიასა და ევროპის სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც ვერ შეძლეს. სამწუხაროდ, განვითარებული ტექნიკური შესაძლებლობები უკანონო მოსმენის ალბათობას ყოველთვის ქმნის. არავის აქვს გარანტია, რომ ვინმე სამართალდარღვევას არ ჩაიდენს.

მთავარია, კონტროლის მექანიზმები შევიმუშაოთ, სადაც კერძო პიროვნებისა და სახელმწიფოს ინტერესები მაქსიმალურად დაცული იქნება.

რაც შეეხება კერძო ფიჭურ კომპანიებს, ეს საკმაოდ პრობლემური საკითხია და კანონმდებლობა ამ მიმართულებითაც დასახვეწია.

რუსუდან შელია
557-100-768

დიდი არასაპარლამენტო ოპოზიციური გაერთიანების ჩაშლაში ხელისუფლებას ადანაშაულებს და ამბობს, რომ მმართველმა გუნდმა პოლიტიკურ ძალებს, დაქსაქსვის სანაცვლოდ, გარკვეული გარანტიები მისცა. ვინ გაურიგდა ხელისუფლებას და რამდენი პარტია გაქრება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ? — „ვერსიას“ პარტია „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრა.

„პოლიტიკაში ვითარება მარაზმამდეა მისული!“

საარჩევნო ბლოკ „თვითმმართველობა ხალხის“ ლიდერი პაატა დავითაია ხელისუფლებას ოპოზიციის მოსყიდვაში ადანაშაულებს

— „ევროპელმა დემოკრატებმა“ და სერგო ჯავახიძის „სამართლიანმა საქართველომ“ საარჩევნო ბლოკი — „თვითმმართველობა ხალხს“ ჩამოვაყალიბეთ. ამ ეტაპზე საარჩევნო სიას ვაკომპლექტებთ და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, თუმცა წინასაარჩევნო კამპანიას თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ვერ ჩავატარებთ, რადგან საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებით,

უპირატეს მდგომარეობაში არიან „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა და ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ქრისტიან-დემოკრატები შეისრუტა. საერთოდ, დღეს ყველაფერს მხოლოდ ფული წყვეტს და პოლიტიკაში ვითარება მარაზმამდეა მისული.

— თუ ასე ფიქრობთ, თქვენს საარჩევნო ბლოკს თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების რა შანსი აქვს?

— აქცენტს ხალხზე ვაკეთებთ — ყველაფერი ამომრჩეველმა გადაწყვიტოს. რაც შეეხება შანსს, რამდენიმე ოპოზიციურ პარტიასთან უნდა გავერთიანებულიყავით, ბრიფინგის დროც დანიშნული გვქონდა, მაგრამ ერთი საათით ადრე, ერთ-ერთ ლიდერთან სატელეფონო ზარი გაისმა და გაერთიანებაც ჩაიშალა.

— რომელ ლიდერს გულისხმობთ ან ვინ დაურეკა?

— დეტალებზე არ ვისაუბრებ, მაგრამ ღიად ვიტყვი: „ქართული ოცნების“ ოპოზიციასთან ურთიერთობის სტილი ნაციონალური მოძრაობასას ერთი ერთში ემთხვევა. დიახ, სწორედ ხელისუფლების დამსახურებაა, რომ დიდი ოპოზიციური გაერთიანება ვერ შედგა — მან ყველაფერი გააკეთა, არასაპარლამენტო ოპოზიცია დაქსაქსულიყო. ჭორაობა ჩემი სტილი არაა, ამიტომ ნურაფერს მკითხავთ, მაგრამ ზუსტად ვიცი, ვინ ვის ურეკავდა და ვის რას დაპირდნენ. „ქართულმა ოცნებამ“ ამ მიმართულებით ყველასთან იმუშავა.

— თქვენთანაც?

— ხაზს ვუსვამ, ყველასთან! სამწუხაროდ, ერთმანეთში ჭიდილი ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. წელიწადნახევარზე მეტია, პოლიტიკაში მხოლოდ გადაბრალების რეჟიმია, რაც ცუდად დამთავრდება. ნაციონალური მოძრაობაც წლების განმავლობაში გაიძახოდა, ქვეყანაში ოპოზიცია არ არსებობსო, მაგრამ საბოლოოდ, არჩევნებში სწორედ ამ ადამიანებმა დაამარცხეს. ვფიქრობ, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება ბუნებრივად მოხდება. უბრალოდ, ახლა პოლიტიკური ძალები ბოლო რესურსებითა და ენერგიით იბრძვიან, არჩევნების შემდეგ კი, როცა ურთიერთდაპირისპირებითა და გადაგდებებით დაიღლება, გაერთიანდებიან.

— არჩევნების შემდეგ პარტიები, რომლებიც ბარიერს ვერ გადალახავენ, ლოგიკურად, პოლიტიკური ასპარეზიდან გავლენ...

— რა თქმა უნდა, ზოგი პოლიტიკიდან ბუნებრივად წავა, ზოგიც იძულებული გახდება, მაგრამ ვიმეორებ, ამ პროცესს ხელისუფლება ხელს მაქსიმალურად უწყობს. თუ „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ არსებული პოლიტიკური პარტიების გაქრობა მისი გამარჯვებაა, მწარედ ცდება და არ ესმის, რომ იმ ადამიანების ნეგატიური მუხტი, რომლებიც პარტიების გარეშე დარჩებიან, აუცილებლად აკუმულირდება. ისე, დღეს „ქართულ ოცნებაში“ ისეთი ადამიანები არიან, რომლებსაც 2003-2004 წლებში ხალხი აფურთხებდა.

— საპარლამენტო არჩევნებში მთავარი ფაქტორი ბიძინა ივანიშვილი იყო...

— ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს ნუ დავბრალებთ...

— ბატონო პაატა, რა ამის პასუხია და, უკრაინის მოვლენების ფონზე, საქართველოში პროცესები რა სცენარით შეიძლება განვითარდეს?

— საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. რუსეთი, პრაქტიკულად, ღია აგრესიაზე გადავიდა, „ქართული ოცნების“ შიგნით კი იმდენი პრობლემაა, საგარეო საკითხებზე არაადეკვატურად რეაგირებენ. მთავრობაში რამდენიმე ადამიანი, მინისტრის კი არა, ნაფტალინის როლს ასრულებს! თეორიულად რომ ვისაუბროთ, ვთქვათ, ომი დაიწყო, ხალხი ვის გაჰყვება — გიორგი მარგველაშვილს თუ თავდაცვის მინისტრს? საზოგადოებისთვის ხელისუფლებიდან ავტორიტეტი არავინაა. საკმაოდ რეალურია, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ბევრად მასშტაბური აგრესია განახორციელოს. ვინ შეაჩერებს მას, პაატა ზაქარეიშვილი? მგონი, ზაქარეიშვილი მტერს პირველი ჩაბარდება.

— 2008 წელს ვინ იყო ასეთი ავტორიტეტი?

— ჩვენმა კომისიამ გამოძიებაც სწორედ ამიტომ დაიწყო. რუსეთზე საუბრისას, ყველაზე სამწუხარო ფაქტი მაინც ისაა, რომ დასავლეთი სუსტი აღმოჩნდა —

პუტინმა ყირიმი ისე აიღო, ერთი ტყვიაც არ უსვრია. დასავლეთში პიტნიან ჩაის მიირთმევენ და ჰგონიათ, პუტინს შორიდან შეაჩერებენ. პუტინი კი, არაყს სვამს და ბევრად შემტევია. მის წინააღმდეგ მხოლოდ ფულადი სანქციების დაწესება არასაკმარისია. დასავლეთის გადაწყვეტილება, გრძელვადიან პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, შედეგს გამოიღებს, მაგრამ მანამდე ბევრად ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი. რუსებმა მონეტაც კი გამოსცეს, რომლის ერთ მხარეს აწერია — „2014 — ყირიმის რუსეთთან შეეთების წელი“. შესაძლოა, ქართველებმაც, ერთ მშვენიერ დილას, გავიღვიძოთ და ფანჯრებში რუსის ჯარისკაცი შევნიშნოთ.

ქვეყანაში ვითარება აგვისტო-სექტემბერში დაიძაბება. რუსეთისთვის საქართველოს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არაფერს ნიშნავს. უკრაინაში ვითარება სწორედ ხელმოწერის შემდეგ დაიძაბა. ვიდრე აშშ-ს კონგრესის დაზვერვის შეფმა არ გვითხრა, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიას აგრძელებსო, პირველი პირები ხალხს არწმუნებდნენ, რუსეთიდან საფრთხე არ იგრძნობაო. ახლა საფრთხე ბევრად რეალურია და ხელისუფლებას მეტი სერიოზულობა და ადეკვატურობა მოეთხოვება.

გიორგი იაშვილი

ბომბი, რომელსაც ნაციონალები არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე აფეთქებენ

რომელ მინისტრსა და დეპუტატზე არსებობს ფარული ჩანაწერები და რა მისიით ჩავიდა მეგის ქარდავა სოჭიდან სამეგრელოში

რამდენიმე დღის წინ, ერთმა მეგობარმა მითხრა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში საინტერესო ფუსფუსი შეინიშნება და ჟურნალისტები „ბომბის აფეთქებას“ აპირებენო. მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი გავარკვიე, რადგან ამ ტელეკომპანიის თანამშრომლებს პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული. მეგონა, „ბომბი“ მანამდე აფეთქდებოდა, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა ამომრჩეველთან მასშტაბურ შეხვედრას გამართავდა, მაგრამ არა — ტელევიზია ყოფილი ხელისუფლების მასშტაბურ აქციას დაელოდა და შემდეგ გაასაჯაროვა ის, რაც ყველამ ვნახეთ. პირველ განცხადებაში „ბომბი“ აშკარად ვერ დავინახე, მაგრამ შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ „აფეთქება“ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრეა დაგეგმილი. მაინც, რას უნდა ველოდეთ არჩევნებამდე?

„ვერსიის“ ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის წევრები „გაბრაზდებიან“ და სოციალურ ქსელებს ის ფარული ჩანაწერები წალეკავს, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ თავის დროზე „საზეიმოდ გაანადგურა“, თუმცა იქვე დაადასტურა, რომ ამ ჩანაწერების ასლები არსებობს, რომლებიც საქართველოდან, სავარაუდოდ, დათა ახალაიამ გაიტანა.

ახალაია ახლა საბერძნეთის ციხეშია და მაქსიმალურად ცდილობს, საქართველოში ექსტრადირება აიცილოს. ელადაზე როლანდ ახალაია და აკაკი მინაშვილი იყვნენ ჩასულები და, როგორც „ვერსიას“ წყარო ეუბნება, ჩანაწერების ადგილსამყოფელი დათამ სწორედ მათ გაანდო. ჩამოიტანეს თუ არა მართლაც ბომბის ეფექტის მქონე ჩანაწერები საქართველოში, ჯერჯერობით, არავინ იცის, მაგრამ ის, რომ ნაციონალებს ხელში რაღაც უკვე უჭირავთ, ფაქტია.

ამომრჩეველთან შეხვედრისას ყველაზე საგულისხმო განცხადება გიგი უგულავამ გააკეთა.

„მე საჯაროდ ვდებ პირობას, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, არ დაადგება შურისძიების გზას და არ დაიწყებს ოპონენტების დევნას“, — განაცხადა უგულავამ და ამით იმ ყოფილ წევრებსაც მიანიშნა, არაფერს დაგიშავებთო, რომლებიც არჩევნების შემდეგ ნაციონალების ნავიდან „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგდნენ.

საინტერესო მინიშნება ჰქონდა გიორგი ვაშაძესაც. მან პირდაპირ განაცხადა, გთავაზობთ იმას, რაც ვიციოთ და წესით, ამ სიტყვებმა უგულავას განცხადებას ჩრდილი უნდა მიაყენოს. 9 წლის განმავლობაში, ნაციონალურ მოძრაობას შურისძიების, საკუთარი ერის დასჯის, დაპატიმრების, გაუპატიურების, მოკვლისა და სულში ჩაფურთხების მეტი თითქმის არაფერი უკეთებია და, თუ ვაშაძე ამ „თითქმის“ იმედად არის, ვერ გეტყვით.

დიდ გულზე იყო თენგიზ გუნავაც, კაცი, რომელსაც სამეგრელოში არაერთი ადამიანი ადებს ხელს და აცხადებს, რომ მთელი რეგიონი ტერორში ჰყავდა, მაგრამ ეს გუნავას ხელს სულაც არ უშლის, პრეტენზია ზუგდიდის გამგებლობაზე ჰქონდეს და მერე რა, თუ გამარჯვების შანსი ნაკლებად ექნება?! მთავარია, მავანთ ნერვებს მოუშლის და უფრო გააბრაზებს.

თავის დროზე, გიგა ბოკერიას სასამართლოში დაბარების შემდეგ, მისმა მეორე ნახევარმა თამარ ჩერგოლეიშვილმა განაცხადა, ამ ხელისუფლებას ჯოჯოხეთს მოვუწყობო. „ოცნებას“ ჯოჯოხეთის მოწყობით „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორიც ემუქრება. ვეჭვობ, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა (ახლა არ დამიწყოთ, ნიკა გვარამია ნაციონალური მოძრაობის წევრი არ არისო) ზუსტად იციან, სად და როდის დაარტყან ხელისუფლებას — კომპრომატებით ომი უკვე დაწყებულია. ამჟამინდელი ხელისუფლება კომპრომატების ომში ჩართვას არ აპირებს, მაგრამ რამდენად დაინდობს მას ნაციონალური მოძრაობა, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ახალაიას ხელში არსებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ზედმეტად მაღალ ეშელონებამდე მიდის და მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრსა და ცნობილ პარლამენტარს პირდაპირ ურტყამს. ახლა გნებავთ, ჰაკიმ ფაშა დაარქვით და გნებავთ აღა მაჰმად ხანი, მაგრამ ფაქტია, უახლოეს მომავალში (მაქსიმუმ 2-3 კვირაში) სოციალურ ქსელებს ახალი კადრები წალეკავს და... ეკრანებს პატარები მოარიდეთ — პოლიტიკური კოჰაბიტაცია პირდაპირი მნიშვნელობით იქნება ნაჩვენები.

P.S. სხვათა შორის, ადრე დავწერეთ, თურქეთში მყოფი დათა ახალაია სოსო თოფურიძესა და მის გარემოცვას გაეპარა და ისინი ბედის ანაბარა დაყარაო. მაშინ არ დაგვიჯერეს და ახლა გამოჩნდა, რომ მართლები ვყოფილვართ. ჰოდა, კიდევ ერთს დავწერთ: სოჭში მოკალათებული მეგის ქარდავა სამეგრელოს ტერიტორიაზე ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორჯერ იყო ჩასული და მხოლოდ ნათესავების მოსანახულებლად რომ არ გასწევდა ამხელა რისკს, თავადაც უნდა მიხვდეთ. ბოლოს იგი სოფელ შამგონაში ნახეს და ახლა არ დამიწყოთ, ვინ ნახა და როდისო. თუ ნიკა გვარამიას აქვს უფლება, წყარო არ დაასახელოს, ამ უფლებას მეც ისე ბოროტად გამოვიყენებ, როგორც ბატონი ნიკა იყენებს.

ახალსოფლის მოსახლეობა ეკლესიის მშენებლობის გაგრძელებას ითხოვს

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფლის მოსახლეობა ეკლესიის მშენებლობის გაგრძელებას ითხოვს და აცხადებს, რომ მიუღებელია, ეკლესიის მშენებლობის კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება და მისი შეჩერება.

ადგილობრივი შოთა პატარიძე განმარტავს, რომ ეკლესიის მშენებლობა მრევლის მოთხოვნა იყო და მშენებლობის ხელმძღვანელის, მამა მარკოზის პასუხისმგებლობის საკითხზე საუბარი მიუღებელია. მისივე განმარტებით, მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობას მთელი სოფელი იღებს.

„მამა მარკოზი არაფერშია დამნაშავე და ვერ ვხედავთ მის პასუხისმგებლობას მომხდართან დაკავშირებით, ისედაც ამხელა განსაცდელშია. სოფლის დაჟინებული მოთხოვნა იყო ეკლესიის მშენებლობა. გამოდის, ბრალი ყველას მიგვიძღვის. მამა მარკოზი უანგაროდ გვიკეთებდა ღვთის სახლს. მშენებლობაზე დასაქმებული ბიჭებიც უანგაროდ მუშაობდნენ, დაღუპულების ხსოვნას პატივს მივაგებთ და ვუთანაგრძნობთ მათ ოჯახებს“, — აღნიშნა შოთა პატარიძემ.

ახალსოფელში მცხოვრები მანუჩარ დევაძე აცხადებს, რომ ეკლესიის მშენებლობა უკანონო არ ყოფილა და რაიონულ გამგეობასთან ერთად, აჭარის ეკონომიკის სამინისტროც იყო საქმის კურსში.

„ეს არის ქვეყნისა და ერის ერთიანობის სიმბოლო. კიდეც გაგრძელდება და დასრულდება ეკლესიის მშენებლობა. თითქოს უკანონო იყო მშენებლობა, მაგრამ ასე არ ყოფილა. ეკონომიკის სამინისტროც საქმის კურსში იყო, რაიონული გამგეობაც და საეპისკოპოსოც. ამხელა მშენებლობას უკანონოდ ვერავინ დაიწყებდა. მამა მარკოზი ძალიან ცუდ დღეშია, უფალი დაიფარავს და გამოაჯანმრთელებს მას“, — აღნიშნა მანუჩარ დევაძემ.

შეგახსენებთ: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მშენებარე ეკლესიის გუმბათი 7 მაისს ჩამოინგრა, რის შედეგადაც ორი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ორი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში მკურნალობს. მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცველები გამოძიებას აწარმოებენ.

„ინტერპრესნიუსი“

სამართალი

თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში

თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ალი ალკანი

2014 წლის 12-15 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოწვევით თბილისს თურქეთის რესპუბლიკის სასამართლოს დელეგაცია ეწვევა. დელეგაციას თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ალი ალკანი ხელმძღვანელობს.

ვიზიტის მიზანია საქართველოსა და თურქეთის სასამართლოებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული ინოვაციური პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

დელეგაციის წევრები გაეცნობიან, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ასევე, ზოგადად, ქართული სასამართლო სისტემის მოდელსა და მოწყობის ძირითად პრინციპებს, ქართული სასამართლო რეფორმის მიღწევებს.

თურქეთის დელეგაციის წევრები საქმიან შეხვედრებს გამართავენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბატონ კონსტანტინე კუბლაშვილთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივან ბატონ ლევან მურუსიძესთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორ ბატონ ლაშა მაღრაძესთან. დელეგაციის წევრები, ასევე, დაათვალიერებენ თბილისის და მცხეთის საქალაქო სასამართლოებს.

უზენაეს სასამართლოში სტუმრობის დროს დელეგაციის წევრები დაათვალიერებენ „მართლმსაჯულების მუზეუმს“, სადაც ასევე გამოფენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული თურქული ხელნაწერები.

თბილისის საქალაქო სასამართლოში თურქეთის დელეგაციის წევრებს სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ახვლედიანი გააცნობს ქართული სასამართლო სისტემის ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ პროექტს - სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესახებ.

თურქეთის დელეგაციის ვიზიტის ბოლო დღეს, 15 მაისს, ქართული სასამართლო სისტემა პროფესიულ დღეს აღნიშნავს. დელეგაციის წევრები დაესწრებიან „მოსამართლის დღესთან“ დაკავშირებულ ღონისძიებებს. მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი თურქ კოლეგა ალი ალკანთან ერთად საზეიმო ვითარებაში გახსნის „მართლმსაჯულების სახლს“.

თურქეთის რესპუბლიკის სასამართლო დელეგაცია თბილისიდან 15 მაისს გაემგზავრება.

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია“
ელ-ფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

26 მაისს აღლუმი არ გაიმართება

26 მაისის ღონისძიებების საორგანიზაციო სამუშაო ჯგუფმა დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული კონცეფციის სამუშაო ვერსია და ტექნიკური საკითხები განიხილა.

კონცეფციის სამუშაო ვერსიის თანახმად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე სახალხო ზეიმი იქნება და აღლუმი არ ჩატარდება. საზეიმო ღონისძიებები მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობაზე იქნება ორიენტირებული და მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ რეგიონები.

საზეიმო ღონისძიებების გეგმა დასამტკიცებლად 26 მაისის საორგანიზაციო სამთავრობო კომისიას წარედგინება. კომისიის პირველი სხდომა, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, სავარაუდოდ 15 მაისს გაიმართება.

„მედიანიუსი“

ნაციონალური მოძრაობა უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევას ითხოვს

ნაციონალური მოძრაობა პრეზიდენტს უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევისკენ მოუწოდებს.

„უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხელისუფლების უმაღლესი პირებისგან არაერთგზის გვსმენია, რომ საქართველოში არ არსებობს უკანონო მოსმენების პრობლემა. ყველამ ერთად ვიხილეთ ტოტალური მოსმენებისა და თვალთვალის მასშტაბური პრაქტიკის უტყუარი საბუთები ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში. ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულს აქვს სისტემური ხასიათი, რაც ხელყოფს ჩვენი მოქალაქეების ფუნდამენტურ უფლებებს. უსმენენ ყველას. პარლამენტის თავმჯდომარის, თავდაცვის მინისტრის, უშიშროების საბჭოს მდივნის საუბრის უკანონო მოსმენა და თავისუფალ ცირკულაციაში მოქცევა ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს სახელმწიფო ინსტიტუტების გადაგვარებასა და მოშლასთან, რაც პირდაპირ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების საკითხს“, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იქნება უკანონო მოსმენებთან დაკავშირებული საკითხები, რადგან, წიკლაურის თქმით, „თუკი ასეთ თავისუფალ ცირკულაციაშია ეს მასალები, სავსებით შესაძლებელია, მას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლებიც ფლობდნენ“.

„ინტერპრესნიუსი“

შეძახილისთვის — „დიდება უკრაინას!“ ტერორისტებმა ოთხი მამაკაცი დაცხრილეს

პარტია „თავისუფლების“ ინფორმაციით, **„დიდება უკრაინას!“** შეძახილების გამო ტერორისტებმა ლუგანსკის ოლქში ოთხი მამაკაცი დაცხრილეს.

ორი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენი ორი, მძიმე მდგომარეობაში, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პარტია „თავისუფლების“ ინფორმაციით, ექსტრემისტების აგრესიის მიზეზი ტრადიციული პატრიოტული მისალმება: **„დიდება უკრაინას! გმირებს დიდება!“** გახდა. შემთხვევა ლუგანსკის ოლქში, ქალაქ ბრიანკაში, ერთ-ერთ ბლოკპოსტთან მოხდა.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი გაჩეჩილაძე თბილისში საფუარის ქარხნის აშენებას გეგმავს

„რა შეკითხვებს სვამთ? რა ინტერვიუს იღებთ?“ — რატომ გალიზიანდა და მოხსნის თუ არა ნარმანიას სასარგებლოდ კანდიდატურას „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

NDI-ის ბოლო პოლიტიკურ რეიტინგშ, გიორგი გაჩეჩილაძემ, დავით ნარმანიას შემდეგ, მეორე ადგილი დაიკავა და ხმების 26% აიღო. სახელისუფლო კანდიდატის გასასწრებად არჩევნებამდე ერთი თვეა დარჩენილიო, — აცხადებს გაჩეჩილაძე. საქმე „მწვანეთა პარტიის“ ლიდერს ეხება, რომელიც აქამდე ერთ რეიტინგშიც კი არ ფიგურირებდა. ამ უეცარ ნახტომს გაჩეჩილაძე 20-წლიანი ბრძოლით ხსნის, ვიღაცები კი ხუმრობენ, ხალხს „მწვანეთა პარტიის“ გიორგი გაჩეჩილაძე „უცნობ“ გიორგი გაჩეჩილაძეში აერიაო. „ვერსიამ“ ეს კითხვა მერობის კანდიდატ გიორგი გაჩეჩილაძესაც დაუსვა, რამაც იგი გააღიზიანა.

— რას ნიშნავს, ხალხს შეეშალა?! NDI მაგ გამოკითხვებს 10 წელია ატარებს და ბოლო 2 წელია, რეიტინგებში ვარ. ყოველთვის უთითებენ, ვინ არის „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე. რა თქმა უნდა, ყველამ ყველაფერი იცოდა... რაზეა ლაპარაკი?!

— თქვენი რეიტინგი წინა წლების ფონზეა უცნაური...

— რეიტინგის ზრდა ჩვენმა 20-წლიანმა მოღვაწეობამ და ჩვენს მიერ თბილისისა და მთელი ქვეყნისთვის გაკეთებულმა საქმეებმა გამოიწვია. უბრალოდ, ახლა ტელევიზიები უფრო გათავისუფლდა და ხალხმა ჩვენს შესახებაც მეტი გაიგო — გაიხსენა ჩვენი საქმეები და, ბუნებრივია, რეიტინგიც გაიზარდა.

— იქნებ, თბილისსა და საქართველოსთვის თქვენს მიერ გაკეთებული საქმეები შემახსენოთ...

— გეტყვით ძირითადს: თბილისში, რაც მწვანე ნერგი შემორჩა, ჩვენი დამსახურებაა. მთელი კანონმდებლობა, რომელიც გარემოს დაცვის საკითხში არსებობს, ჩვენი ხელითაა დაწერილი. ჩვენი პარტია სამჯერ შევიდა პარლამენტში და კონსტიტუციური მუხლებიც გავაკეთეთ. ხალხმა იცის, რომ ერთადერთი პრინციპული პარტია ვართ, ვისაც არასოდეს უვაჭრია და არც კურსი შეუცვლია. ასევე ჩვენ გამოვაქვეყნეთ მასალები, როგორ გაუხსნა სააკაშვილმა ტრასა ავღანურ ჰეროინს. ეს იყო სენსაცია არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გენმოდიფიცირებული პროდუქტის წინააღმდეგ ბრძოლის ეპოპეასაც გაგახსენებთ, რომლის შედეგადაც ეს პროდუქტი საქართველოში აღარ შემოდის. ატომური სადგურებისა და რადიაციული ნარჩენების წინააღმდეგაც ვიბრძოდით — მათი შემოტანა აიკრძალა, რაც ჩვენი დამსახურებაა.

— ბატონო გია, გულწრფელად ფიქრობთ, რომ ხალხს ეს ყველაფერი ახსოვს?

— შეიძლება, დაწვრილებით არა, მაგრამ ახსოვს, რომ მისი და მისი შვილებისთვის ვიბრძოდით. რა არის ამაში გასაკვირი, ჩვენს პარტიაზე ასეთი ცუდი წარმოდგენა რატომ გაქვთ?

— ცუდი წარმოდგენა ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ, როცა „ქართული ოცნება“ დატოვეთ, სხვადასხვა მიზეზთან ერთად, ისიც ითქვა, რომ სხვა პარტიებივით, დაფინანსება ვერ მიიღეთ. ასე იყო?

— კიდევ ერთხელ ავხსნი: ჩვენ, პრაქტიკულად, იგნორირებულნი აღმოვჩნდით ყველა პროცესისგან და პარლამენტში უფუნქციოდ ვართ. საქართველოში ერთადერთი პარტია ვართ, ვისაც ევროპის პარლამენტში ფრაქცია აქვს, მაგრამ ხელისუფლებამ მუდმივმოქმედი დელეგაციები ისე დააკომპლექტა, ერთშიც არ შეგვიყვანა. ამ კითხვებზე პასუხი ვერ მივიღე და ასეთი დამოკიდებულების გამო წამოვედი, თუმცა ივანიშვილის პატივისცემის გამო, მის წასვლამდე კოალიცია არ დაგვიტოვებია.

— მისივე პატივისცემის გამო, თუ არ ვცდები, ისიც თქვით, ივანიშვილის გუნდის წინააღმდეგ არ წავალო. თუ მეშლება, შემისწორეთ...

— როდის ვთქვი ასეთი რაღაც, საიდან მოგაქვთ ასეთი ინფორმაცია? არა, ასეთი ფრაზა არ მითქვამს. საერთოდ, თქვენ ახლა რა ინტერვიუს იღებთ, უცებ ეჭვი გამიჩნდა: რა გინდათ, ვერ გავიგე, რაღაცებს იგონებთ. ჯერ მოიგონეთ პირველი თემა, ვითომ რეიტინგი არ მაქვს, მე კი მსგავსი რამ არსად შემხვედრია. მაშინ მეც დავწერ „ვერსიაზე“ რაღაც სისულელეებს და ეგეც გაავრცელეთ. ან აცებოოკ-ს რას უყურებთ, ვიღაც გიჟები და შიზოფრენიკები მიწერენ აცებოოკ-ზე რაღაცას და ეს ნაწერები საჯაროდ გამოვიტანო? ახლა მივხვდი, რაშიცაა საქმე და დაწერეთ ის, რასაც გეუბნებით — მსგავსი მცდელობა 15 წელია „მწვანეთა პარტიის“ წინააღმდეგ მიმდინარეობს. ახლა თქვენ ცდილობთ, „მწვანეთა პარტიის“ ეს მნიშვნელოვანი რეიტინგი საზოგადოების თვალში დაწიოთ. არ ვიცი, ამას რატომ აკეთებთ, მაგრამ აკეთებთ! რა შეკითხვებს სვამთ — თქვენ მე მასწავლით, ამას რა ჰქვია? გადასარევად ვხედავ, ეს რაც არის — ანტიპიარი!

— ანტიპიარი საუკეთესო პიარია, თუმცა თქვენი რეიტინგის აწევ-დაწევას არ ვაპირებ. უბრალოდ, როგორც მერობის კანდიდატს, გეკითხებით, რას პირდებით თბილისელებს?

> **— მართლა?! ჩემი რეიტინგების ზრდა უცნაური თქვენთვის იყო, გენაცვალე, თორემ მთელი ცხოვრება ჟურნალისტების მთელი კოჰორტა „მწვანეთა პარტიას“ ბლოკავდა! გაგახსენებთ, 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში პერსონალურად ვმონაწილეობდი ჩუღურეთში, რათა მეჩვენებინა, რომ რეიტინგი მქონდა. შედეგად, 10% დამიწერეს და 10% გამიბათილეს! ასე რომ, „მწვანეთა პარტიას“ ყოველთვის ჰქონდა რეიტინგი და ეს თითიდან გამოწოვილი თემაა, უბრალოდ, ეს საზოგადოებაში არ ჩანდა. არაფერი გამკვირვებია და თქვენ რატომ გაგიკვირდათ, გეკითხებით.**

— იმიტომ, რომ „საზოგადოებაში არ ჩანდა“ თქვენი რეიტინგი... ნაციონალები ტარიფების დაწევას გვპირდებიან, „ოცნება“ ისედაც ხელისუფლებშია და ყველაზე მეტი ბერკეტი აქვს. ყველაფერ ამას რას უპირისპირებთ?

— ჯერ ერთი, ტყუილების ლაპარაკს არ ვაპირებ. ნაციონალებს თუ რამის გაკეთება უნდოდათ, 9 წელი ჰქონდათ და გაეკეთებინათ, ასე რომ, მათი დაპირება სისულელე და სიაფანდობაა, თავიდან ბოლომდე. ჩვენ კონკრეტული, რეალისტური გეგმები გვაქვს: რათ უნდა ლაპარაკი, რომ პირველ რიგში, მასობრივი გამწვანების საკითხს მივხედავთ თბილისში და საქართველოშიც. ისეთი კარგი და რეალისტური გეგმა გვაქვს, რომელსაც სხვა ვერავინ წარმოადგენს. ეს პროექტი ბიუჯეტიდან დაფინანსებას არ მოითხოვს — აქეთ შევიტანთ თანხას ბიუჯეტში. დიდი ხნის წინ პატრიარქთან გვქონდა შეხვედრა, სადაც თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ვისაუბრეთ და გაჩნდა იდეა — წლის განმავლობაში, ჯვარს 50 000-ზე მეტი წყვილი იწერს და ახალადჯვარდაწერილმა წყვილმა ერთი ხე დარგოს, რისთვისაც მერიის გამწვანების სამსახური ტერიტორიას მოამზადებს. მეჯვარე გადაიხდის ხის ფასს და წყვილს თავისი სახელობის ხე ექნება. მერე, იმ ხეს რაღაცას ჩამოკიდებენ და ა.შ. რათ უნდა ლაპარაკი, რომ ეს მთელი მექანიზმია! ასე, 5 წელიწადში, დიდი რაოდენობის უფასო ბაღები, სკვერები და პარკები შეიქმნება, პატრიარქმა ამ იდეას დაამატა, მოდი, ეს ნათლობის დროსაც გავაკეთოთო. მოკლედ, რამდენ ხესაც დაიტევს თბილისი, იმდენს დავრგავთ. დაზოგილ თანხას კი სოციალური პრობლემების მოგვარებისკენ მივმართავთ.

კიდევ ერთი თემა პურის ხარისხია: პური მალე ფუჭდება, ხმება, ობდება, სუნი არ აქვს, რაც თურქეთიდან შემოტანილ იაფ, ქიმიურ საფუართანაა დაკავშირებული. ეს საფუარი ძალიან მძიმე, მათ შორის, ონკოლოგიური დაავადებების პროვოცირებასაც იწვევს. ჩვენი სურვილია, თბილისში საფუარის ქარხანა აღვადგინოთ. იქ ხალხი დასაქმდება, ამის ტექნოლოგებიც არსებობენ და ბიუჯეტის ფული არც ამაში დაგვჭირდება — ვთხოვთ პურის მწარმოებლებს, შექმნან ფონდი და ამ ფონდიდან ააშენონ ეს ქარხანა. მერე თვითონ ისარგებლებენ საქართველოში წარმოებული საფუარით.

— ისე, NDI-ის შედეგები არჩევნებზეც რომ არ აისახოს, იტყვით, რომ არჩევნები გაყალბდა?

— იცით, რა — არჩევნებამდე თვეზე მეტია დარჩენილი. წესით, მეორე ტური უნდა იყოს, მაგრამ ამ ერთი თვის განმავლობაში, ვფიქრობ, ნარმანიას უნდა დავეწიო და გავასწრო კიდეც. მეორე ტური საჭირო აღარ იქნება. რა არის ამაში გამორიცხული და გასაკვირი?

— სხვადასხვა არჩევნებში კანდიდატურა სხვის სასარგებლოდ რამდენჯერმე მოხსენით. ახლაც იგივეს ხომ არ აპირებთ ნარმანიას სასარგებლოდ?

— აბსოლუტურად გამორიცხულია და ეს არც ერთ სხვა რაიონში არ მოხდება, სადაც კენჭს ვიყრით. დიახ, რამდენჯერმე, წმინდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ასე მოვიქეცი, ახლა კი საჭიროა, „მწვანეთა პარტია“ დიდი შემადგენლობით მოვიდეს ხელისუფლებაში, რადგან ქვეყნის მდგომარეობა სულ უფრო უარესდება.

დიმიტრი შაშკინი: „საქართველოში ნატო-ს ბაზები არ განლაგდება!“

ირუსუდან შელია
557-100-768

ფარული მოსმენები აქტუალობას არ კარგავს — პროკურატურამ „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებზე გამოძიება დაიწყო, ტელეკომპანიის დირექტორი კი ხელისუფლებას ჯოჯოხეთის მოწყობით ემუქრება. რას უკავშირდება ფარული ჩანაწერების გავრცელება, გრძნობს თუ არა პასუხისმგებლობას ქვეყანაში მოსმენების მავნე პრაქტიკის დამკვიდრებაზე და დათანხმდება თუ არა ნატო ირაკლი ალასანიას წინადადებას? — „ვერსიას“ განათლების, სასჯელაღსრულებისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ДИМИТРИ ШАШКИНИ ესაუბრა.

— სახელმწიფო ვალდებულია, „რუსთავი 2“-ში გაკეთებული ფარული ჩანაწერების საქმე ობიექტურად გამოიძიოს, თუმცა, ვისაც ლოგიკა აქვს, მიხვდება, რომ ამ საქმეში მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის დადანაშაულება აბსურდია.

— პროკურატურის მიერ გავრცელებული კადრებით, ექსპრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო დაცვის თანამშრომლები ტელეკომპანიაში ფარულ კამერებს ამონტაჟებენ. აქედან გამომდინარე, ხაზი ხომ ლოგიკურად ნაციონალურ მოძრაობამდე მიდის?

— ფარული სათვალთვალო კამერების დამონტაჟება დაცვის სამსახურის მოვალეობაში არ შედის, თანაც ეს კადრები საპარლამენტო არჩევნების შემდეგაა გადაღებული. საზოგადოებას ეჭვი სხვადასხვა მიმართულებით უჩნდება, ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, საქმე უმოკლეს ვადაში გამოიძიოს. პროკურატურის განცხადებები კი, ჯერჯერობით, დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ გვაძლევს.

— ხელისუფლება ამტკიცებს, რომ შს სამინისტროდან მოსასმენი აპარატურის ნაწილი გატანილია. აქედან გამომდინარე, არსებობს ეჭვი, რომ ფარული ჩანაწერებით სპეკულირება ნაციონალური მოძრაობის მიერ „შემოგდებული“ მორიგი პროვოკაციაა...

— ინფორმაციის გაჟონვისგან დაცული არავინაა. როცა საქმე ასეთ სისტემას ეხება, ყოველთვის დიდია ალბათობა, ვიღაც ინფორმაციას გაიტანს. ეს მავნე პრაქტიკაა, რომლის კონტროლი საკმაოდ რთულია და ამ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობა არაფერ შუაშია.

— ეს მავნე პრაქტიკა ახალმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით თქვენგან მიიღო, რისთვისაც ნიკა გვარამიამ ბოდიში მოიხადა. ბატონო დიმიტრი, ამ სისტემის შექმნის გამო პასუხისმგებლობას არ გრძნობთ?

— სამწუხაროდ, სისტემა ვერ დავაზღვიეთ, რომ არაკეთილმოსურნე პირებს სათავისოდ არ გამოეყენებინათ. ეს ჩვენი უზარმაზარი შეცდომა იყო, მაგრამ „ქართული ოცნება“ შეცდომაზე არ სწავლობს, იგივეს აკეთებს და ფიქრობს, შეცდომას არ დაუშვებს. ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ შევცდით.

რაც შეეხება ბოდიშს, იმ საკითხზე, რომელშიც ჩართული არ ვყოფილვარ, თავისმართლებას არ დავიწყებ, თუმცა ნაციონალური მოძრაობა საკუთარ შეცდომებს დღეს აანალიზებს.

— მიუხედავად ამისა, ბოლო კვლევებით, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი 12%-ს არ სცდება, სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზე კი უპირობო გამარჯვება დააანონსეთ. პარტიას ბრძოლის რესურსი აქვს?

— მარტივად გიპასუხებთ — ქვეყანაში ამ მხრივ, რეალურად, არაფერი იცვლება. საზოგადოების 1/3 იმ ფასეულობებზეა ორიენტირებული, რასაც ნაციონალური მოძრაობა სთავაზობს, 1/3 „ქართული ოცნების“ პოზიციას იზიარებს, დანარჩენი 1/3 კი ნეიტრალურია, ვინც დარჩენილ 1/3 თავისთან წაიყვანს, არჩევნებშიც ის ძალა გაიმარჯვებს. რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობას რესურსი აქვს, თანაც საკმაოდ დიდი, პროცესების განვითარებას კი, მომავალი გვაჩვენებს.

— ბატონო დიმიტრი, ირაკლი ალასანიას განცხადებაც შეაფასეთ: როცა რუსეთი უკრაინაში აგრესიულ მოქმედებებს ღიად ახორციელებს, დასავლეთმა კი პუტინის გეგმების შესაჩერებლად მექანიზმი ჯერ კიდევ ვერ აამოქმედა, რას ნიშნავს საქართველოს თავდაცვის მინისტრის გზავნილი — ნატო-მ თავდაცვითი საშუალებები საქართველოში უნდა განათავსოს?

— ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მთავრობაში კომუნიკაციის პრობლემაა. მსგავსი განცხადების გახმოვანება თავდაცვის მინისტრის კომპეტენციაში არ შედის. დაუკვირდით, ირაკლი ალასანიამ ნატო-ს იარაღის მოწოდება კი არ სთხოვა, საქართველოს ტერიტორიაზე ანტისაჰაერო სისტემების განლაგება შესთავაზა ანუ უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს საკუთარ ქვეყანაში პატიჟებს. როცა თავდაცვის მინისტრი ვიყავი, მსგავსი სურვილი მეც მქონდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს ჩემი კი არა, პარლამენტის კომპეტენცია და გადასაწყვეტი იყო. ირაკლი ალასანიას განცხადების შემდეგ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თავდაცვის სამინისტროს კვალიფიკაცია და პროფესიონალები აკლია. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანი დრო დავკარგეთ. დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ, საქართველოში ამერიკული ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემები უნდა განლაგებულიყო. ამ მხრივ, საქართველოს პრეზიდენტსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანს შორის მოლაპარაკებები დასრულებული, შეთანხმება კი მიღწეული იყო, 2012 წლის დეკემბერში მისი განხორციელება უნდა დაწყებულიყო, თუმცა ხელისუფლების მიდგომამ, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, ყველაფერი ცუდი იყოო, ეს პროცესი შეაჩერა. ირაკლი ალასანიას 18 თვის შემდეგ გაახსენდა, რომ საქართველოს თავდაცვის რეზერვის მომზადება შეჩერებულია?!

— თავდაცვის რეზერვის გაძლიერების პროცესის დაწყება გასაგებია, მაგრამ უკრაინის მოვლენების ფონზე, რუსეთი საქართველოში ამერიკული ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემების განლაგებას მშვიდად შეხვდება?

— ირაკლი ალასანიას განცხადება პრობლემებს ვერ შექმნის, რადგან, სამწუხაროდ, ნატო მის შეთავაზებას არ დათანხმდება — საქართველო, ჯერჯერობით, ნატო-ს წევრი ქვეყანა არ არის, შესაბამისად, ქვეყანაში მისი ბაზები არ განლაგდება. როცა პოლიტიკოსი რაღაცას ითხოვ, უნდა გესმოდეს, შენი წინადადება რამდენად რეალისტურია. ჩვენ ნატო-ს იარაღს ვთხოვდით, რაც აბსოლუტურად გამართლებული იყო, მაგრამ ახლა ირაკლი ალასანიას აპრიორი ესმის, რომ უარს მიიღებს. ეს იგივეა, აშშ-ს ვთხოვოთ, ერთი ცალი ატომური ბომბი გვაჩუქეო. ამ შემთხვევაში, სხვა უფრო მნიშვნელოვანი კითხვა მებადება — ჩვენ, საქართველოს რა გვინდა? გასაგებია, რომ ყველა საფრთხე გასათვალისწინებელია, მაგრამ ამისთვის პოლიტიკოსები და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი არსებობს. სხვათა შორის, ხუმრობა არ

> **„საზოგადოების 1/3 იმ ფასეულობებზეა ორიენტირებული, რასაც ნაციონალური მოძრაობა სთავაზობს, 1/3 „ქართული ოცნების“ პოზიციას იზიარებს, დანარჩენი 1/3 კი, ნეიტრალურია, ვინც დარჩენილ 1/3 თავისთან წაიყვანს, არჩევნებშიც ის ძალა გაიმარჯვებს“.**

გეგონოთ, დიდ ბრიტანეთში გაერთიანებულმა შტაბმა შეიმუშავა გეგმა, როგორ მოიქცნენ უცხოპლანეტელთა შემოსევის შემთხვევაში. მათი პრინციპია — ყველაფრისთვის მზად იყვნენ. დღეს საქართველოს ხელისუფლებამ არ იცის, რა უნდა!

— პრემიერის, მინისტრებისა და პარლამენტის თავმჯდომარისგან ხშირად გვესმის, რომ საქართველოს არჩევანი ევროპაა. ხელისუფლებისგან კიდევ რას მოითხოვთ?

— განცხადებები გვესმის, მაგრამ საქართველოს განვითარების გეგმა არ არსებობს. მაგალითად, ისრაელი საქართველოზე ბევრად არაკომფორტულ გარემოცვაშია, თუმცა სახელმწიფო გეგმა შემუშავებული აქვს და მას მიზანმიმართულად ავითარებს. თუ დავიწყებთ საუბარს, ვაიმე, ისე არ მოვიქცეთ, რუსეთი გავაბრაზოთ, რუსეთი არ ვაწყენინოთო, უმოკლეს ვადაში შევარდნაძის პერიოდში დავბრუნდებით. დღეს ქვეყნის მთავარი ამოცანა ცხინვალისა და აფხაზეთის დაბრუნება უნდა იყოს. რუსეთთან ურთიერთობისას წითელი ხაზიც სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა გადიოდეს. სახელმწიფო რუსეთთან ძმობასა და კულტურულ ურთიერთობაზე არ უნდა საუბრობდეს, ეს ეტაპი განვლილი გვაქვს. ვისაც მეხსიერება აქვს, ყველამ იცის, რომ ერთმორწმუნე რუსეთის პატრიარქი რუს ჯარისკაცებს საქართველოში გამომგზავრებამდე ლოცავდა. სამწუხაროდ, ციყვებივით ერთ წრეზე ვტრიალებთ.

— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ცოტა დრო რჩება. სექტემბერში მაპ-ის მიღების მოლოდინიც არსებობს. ქართულ რეალობას ვერც ეს პროცესები შეცვლის?

— ცვლილებებს ველი... საბედნიეროდ, მოსახლეობის 75% საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს მხარს. ეს მაჩვენებელი რეფერენდუმზე დაფიქსირდა და დღემდე სტაბილურად ნარჩუნდება...

— ევრაზიული კავშირის მხარდამჭერების ასპარეზზე გამოჩენა საზოგადოების განწყობაზე გავლენას იქონიებს?

— მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას, რუსეთისთვის ერთი ადგილის კოცნა და მისი დიდება საზოგადოებისთვის მისაღები არ იყო, რადგან სახელმწიფო, პროპაგანდითა და არსებული ბერკეტებით, სწორი აზრის ჩამოსაყალიბებლად ყველაფერს აკეთებდა. ახლა სახელმწიფომ უკან დაიხია და ფასეულობების დამკვიდრებაში მისი როლი გაქრა, მაგალითად რუსეთის 200-ნლოვანი ოკუპაციის შესახებ წიგნი სკოლებში არ შევიდა. შესაძლოა, საზოგადოების ნაწილმა ამ მეთოდს პროპაგანდაც დაარქვას, მაგრამ აშშ-ში, ისრაელში, აზერბაიჯანსა თუ ესპანეთში ამას სახელმწიფოს როლს უწოდებენ. ხელისუფლების უმოქმედობის შედეგია, ასპარეზზე მარგინალური ჯგუფები რომ გამოჩნდნენ. ფული ბევრ ადამიანს ხიბლავს, ამიტომ გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც ევრაზიულ კავშირს ადიდებენ.

— ფიქრობთ, ხელისუფლებამ პასიური პოლიტიკა შეგნებულად, მოსალოდნელი საფრთხის გაუთვალისწინებლად აირჩია?

— დიდი ხანია, ხელისუფლების ლოგიკაზე ხელი ჩაქნეული მაქვს, ამიტომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. ერთი ფაქტია: საქართველო იმდენად რთულ პოლიტიკურ ეტაპს გადის, ახლა ყველაზე მთავარი საზოგადოების ერთობაა. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ დაპირისპირება და საზოგადოებრივი აზრის გახლეჩა რთულ პროცესებამდე მიგვიყვანს.

— რთულ პროცესებამდე იმ სასულიერო პირებს ხომ არ მივყავართ, რომლებიც 17 მაისს მასშტაბურ გამოსვლებს აანონსებენ?

— დარწმუნებული ვარ, ეკლესიამ კარგად იცის, რომ ახლა საზოგადოებაში დაპირისპირების დრო არ არის. რაც შეეხება მთავრობის პასუხისმგებლობას, როცა ოპოზიციაში ხარ, ხელისუფლების გინება მარტივია, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნისას საზოგადოებისთვის ნეგატიურ თემებზე საუბარი ხმამაღლა უნდა შეგეძლოს. ამ ფონზე, განმარტებების ნაცვლად, პოლიტიკოსების გაუგებარ ინსინუაციებს ვისმენთ, რომლებიც აცხადებენ, დასავლეთში ინცესტია დაკანონებული და ამიტომ ასეთი ევროპა არ გვინდაო! არადა, გერმანიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში ნებაყოფლობითი ინცესტიც ისჯება, რუსეთში კი მხოლოდ ძალადობრივი.

ვერსიანიუსი

საჩხერის რაიონიდან გატაცებული ხუთი ქართველი გაათავისუფლეს

ე.წ. რუსმა მესაზღვრეებმა საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულიდან გატაცებული ხუთი ქართველი გაათავისუფლეს. მათ ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის 100-100 ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრათ.

ამ დროისთვის ცხინვალის იზოლატორში საქართველოს 13 მოქალაქე რჩება.

საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულის მიმდებარე ტერიტორიიდან, რუსმა სამხედროებმა რამდენიმე ქართველი 2 მაისს გაიტაცეს და ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს. სეპარატისტებს შორის ჩხუბი დაიწყო, რასაც სროლა მოჰყვა.

„მედიანიუსი“

ქრთამის აღებისთვის სოფლის რწმუნებული დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააკავეს წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტას, ხარებასა და ჩრდილის უბნის თემის რწმუნებული სონია თანასოვა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სონია თანასოვამ მოქალაქეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გასატანად და სარეალიზაციოდ საქონლის წარმოშობის შესახებ ყალბი ცნობა დაუმზადა, რის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოითხოვა და გამოართვა 3000 ლარი.

სამართალდამცველებმა სონია თანასოვა თანხის აღების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„მედიანიუსი“

რამდენმა მამაკაცმა და ქალბატონმა იმოგზაურა უცხოეთში ბოლო 5 წლის განმავლობაში

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, თბილისელი მამაკაცების მესამედმა და ქალბატონების მეხუთედმა საზღვარგარეთ იმოგზაურა. ეისითი დაინტერესდა, რამდენად ბევრს მოგზაურობენ თბილისელები, რა მიზნით მოგზაურობენ და რომელ ქვეყნებში მოგზაურობაა ყველაზე მიმზიდველი. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, თბილისელების მეოთხედი — 26% გავიდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სულ ცოტა ერთხელ მაინც. მამაკაცები უფრო აქტიურები აღმოჩნდნენ მოგზაურობის თვალსაზრისით, რადგან აღნიშნულ პერიოდში, თბილისელი მამაკაცების მესამედმა — 33% და ქალბატონების მეხუთედმა — 22% იმოგზაურა საზღვარგარეთ.

თითქმის ყოველი მეორე თბილისელი მოგზაური — 45% ახალგაზრდაა, მათი ასაკი 18-დან 34 წლამდეა, ხოლო 56 წელს ზემოთ მოგზაურების წილი 14%-ს არ აღემატება. რაც შეეხება მოგზაურობის მიზნობრიობას, ბოლო ვიზიტისას, მოგზაურების ნახევარზე მეტმა — 51%-მა, სხვა ქვეყანაში დასასვენებლად ან დასათვალიერებლად იმოგზაურა, ხოლო თბილისელების მესამედზე მეტი — 36%, ქვეყნის გარეთ სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფებოდა.

ყოველი მეორე თბილისელი — 49%, უპირატესობას ანიჭებს სამხრეთ ევროპის ქვეყნებს, მათ შორის, იტალიას — 23%, საფრანგეთს — 21% და ესპანეთს — 6%. ჩვენი საინტერესო ქვეყნებია ისრაელი — 5% და ამერიკის შეერთებული შტატები — 4%. ხუთიდან ორი თბილისელი — 41%, ისურვებდა არა უბრალოდ საზღვარგარეთ მოგზაურობას, არამედ უცხოეთში საცხოვრებლად წასვლასაც, მინიმუმ 3 წლით. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სასურველ საცხოვრებელ ქვეყანად თბილისელები ამერიკას განიხილავენ — 23%, ინგლისს — 15% და გერმანიას — 12%, მხოლოდ შემდეგ ასახელებენ სამხრეთ ევროპის ქვეყნებს — იტალიას, საფრანგეთსა და ესპანეთს.

გამოკითხვა 2014 წლის აპრილში, 409 ზრდასრულ თბილისელს შორის ჩატარდა, ხოლო მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება 4.9%-ს არ აღემატება.

„ბი-პი-აი“

ბანკების სააქციო კაპიტალი 76 მილიონი ლარით გაიზარდა

ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, 2014 წლის მარტში, ქვეყანაში ოპერირებადი 21 კომერციული ბანკის ჯამურმა სააქციო კაპიტალმა, 3 043 000 000 ლარი შეადგინა და ეს მაჩვენებელი მარტში, 76 000 000 ლარით გაიზარდა.

ამ პერიოდში, ბანკების ფილიალების რაოდენობა არ შეცვლილა და 165-ს შეადგენდა. 7 ერთეულით შემცირდა სერვის-ცენტრების რაოდენობა და მარტის ბოლოს, 756-ით განისაზღვრა. რაც შეეხება სხვა საფინანსო ინსტიტუტებს, მარტში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა მხოლოდ ერთი ორგანიზაციით გაიზარდა და მათი რიცხვი თვის ბოლოს, 68-ით განისაზღვრა. არ შეცვლილა არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების რაოდენობა და კვლავ 17 დარჩა. გაიხსნა 12 ახალი სავალუტო ჯიხური და მათი რაოდენობა 1 118 გახდა. მარტის ბოლოს, ქვეყანაში 14 სადაზღვევო კომპანია და 1 საფონდო ბირჟა ოპერირებდა.

„ბი-პი-აი“

რომან ჩხენკელი: „ბიზნესს ველარავინ დაჩაგრავს!“

პრემიერის ეკონომიკური მრჩეველი ახალ სტრატეგიულ ობიექტებს ასახელებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მალე სტრატეგიული დანიშნულების ობიექტის ცნება აღდგება — პრემიერის დავალებით, ეკონომიკური საბჭო შესაბამის კანონპროექტზე უკვე მუშაობს და დეტალურად მსჯელობს, რომელ ობიექტებს მიენიჭება სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების სტატუსი — ასეთი შეიძლება იყოს მაგისტრალური მილსადენები, საზღვაო პორტები და ასე შემდეგ. რატომ დადგა დღის წესრიგში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის სტატუსის აღდგენა? როგორ აპირებს ხელისუფლება ფოთის პორტსა და „საქართველოს ფოსტასთან“ დაკავშირებული პრობლემის მოგვარებას? რა არის ეკონომიკური ზრდის რეალური მიზეზი და როგორ ემზადება ქვეყანა ტურისტული სეზონისთვის? — „ვერსიას“ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში, რომან ჩხენკელი ესაუბრება.

— ბატონო რომან, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ცნების აღდგენით რა შეიცვლება?

— სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა განსაზღვროს, რომელი ობიექტი მოექცევა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ. რაც შეეხება ზოგადად ცნებას ანუ სახელწოდებას, რამდენიმე ვარიანტი არსებობს. „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონით, პრივატიზებას არ ექვემდებარებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ნავსადგურების ნავმისადგომები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, შუქურები, შუქნიშნები და აკვატორია, საავტომობილო გზები, განსაკუთრებული მნიშვნელობის ასაფრენ-დასაფრენი ზოლები. 2007 წელს, ამ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის საფუძველზეც განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების ნუსხას საქართველოს მთავრობა ამტკიცებდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2003-2004 წლებში, საქართველოს კანონმდებლობით, განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ნუსხის ცნებას, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი განსაზღვრავდა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გარკვეული ქონების მართვა, მათ შორის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება. ვფიქრობთ, საკანონმდებლო ბაზა იმგვარად შევიმუშაოთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქონების განკარგვისას სახელმწიფოს ინტერესი მაქსიმალურად დაცული იყოს, იმავდროულად, საკუთრების კონსტიტუციურად აღიარებული უფლება არ უნდა შეილახოს.

ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების ცნება ნებისმიერ შემთხვევაში შემოვა, მთავარი არსი სახელწოდებაში კი არა, მის შინაარსშია. სახელმწიფოს სურვილი აქვს განსაზღვროს, რომელ ობიექტებს მიანიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობის სტატუსი და მეორე — რა ქმედებები გაატაროს ამისთვის. ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა კონცეფცია და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება არსებობს და შესაბამისად, განხილვაც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. კანონპროექტზე კი, რომელმაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების სტატუსი უნდა განსაზღვროს, შალვა თადუმაძე მუშაობს, რომელთან ერთად, ჩვენც ინტენსიურად ვართ ჩართულნი ამ პროცესში და საკმაოდ ნაყოფიერადაც მივიწევთ წინ. როდესაც კანონპროექტზე მუშაობას დავასრულებთ, შედეგებს საზოგადოებას გავაცნობთ. როგორც უკვე გითხარით, ეს საკითხი დიდი განხილვის საგანი გახდა, ამიტომ გვინდა, შეჯერებული ვერსია მივიღოთ და საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილებაც გავიზიაროთ. მხოლოდ ამის შემდეგ მომზადდება კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი, რასაც უკვე პარლამენტში წარვადგენთ.

— ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ცნება იმიტომ გაუქმდა, ეს ობიექტები გაეყიდათ. ასე გაიყიდა ფოთისა და ბათუმის პორტები... მას შემდეგ, რაც კანონი ძალაში შევა, უკვე გაყიდულ ობიექტებს სტატუსი როგორ დაუბრუნდება, კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაში როგორ მოექცევა?

— კანონს უკუქმედების ძალა არ აქვს, შესაბამისად, ეს კანონი მოქმედ მესაკუთრეებს შეზღუდვებს ნამდვილად ვერ დაუწესებს, თუმცა მას შემდეგ, რაც კანონი ძალაში შევა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების სტატუსი მიენიჭება კომპანიების კუთვნილ ობიექტებს, ეს ობიექტები ვეღარ გაიყიდება. სავარაუდოდ, მოკლე დროში არა, მაგრამ უახლოეს პერიოდში, კანონპროექტი მომზადდება და მისი განხილვაც დაიწყება.

— ბატონო რომან, ფოთის პორტში საგანგაშო ვითარებაა, პორტის მმართველმა კომპანია „აი პი ემ ტერმინალსმა“, 1 მაისიდან აამოქმედა რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, ყველა ტვირთი მხოლოდ მის კუთვნილ ტერმინალში უნდა განბაჟდეს, რასაც 40-მდე კომპანიის უკმაყოფილება მოჰყვა...

— ასე არ არის... „აი პი ემ ტერმინალსს“ ამ რეგულაციის ამოქმედება უნდოდა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, მისი სამართლებრივად განხორციელების საშუალება დღეს ნამდვილად არ აქვს. როგორც ვიცი, ეს კომპანია სამართლებრივ ჩარჩოებში ცდილობს ნებართვის აღებას, რომლითაც შეძლებს, ტვირთები საკუთარ ტერმინალში განაბაჟოს.

— 40-მდე კომპანიის წარმომადგენლებმა ოფიციალურად მიმართეს პრემიერ-მინისტრს, ეკონომიკურ საბჭოს, ისინი ამბობენ, რომ ამ რეგულაციის შედეგად იმპორტი გაძვირდება, მაგრამ საუბარია ფინანსთა მინისტრის ძველ ბრძანებაზე, რომლითაც ფოთის პორტის მაშინდელ მფლობელს, არაბულ „რაკიას“ უფლება მიანიჭეს, მხოლოდ მის კუთვნილ ტერმინალში განბაჟებინა ტვირთები. ახლა კი ნოდარ ხადურის ბრძანებაა საჭირო ძველი რეგულაციის გასაუქმებლად. თქვენ თუ ხართ ამ პრობლემის საქმის კურსში ან როგორ აპირებთ მის გადაჭრას?

— ეკონომიკური საბჭოს ფორმატში რამდენიმე შეხვედრა გავმართეთ, როგორც ფოთში განთავსებული საბაჟო საწყობების მფლობელებთან, ასევე „აი პი ემ ტერმინალსის“ ხელმძღვანელობასთან. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია მივიღეთ, მაგრამ პრობლემის მოგვარებაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურადაა ჩართული, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, დიმიტრი ქუმსიშვილი იქ იმყოფებოდა ერთ-ერთ კრიტიკულ მომენტში და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ საკითხზე საკმაოდ კოორდინირებულად ვმუშაობთ. რაც შეეხება ზოგადად ამ თემას, გარწმუნებთ, ბიზნესი არ დაზარალდება, ყველა და ყველაფერი, როგორც ინვესტორი, ასევე საპორტო საქმიანობის თანმდევი ბიზნესი, კანონის ჩარჩოებში მოექცევა.

— დაახლოებით ანალოგიური პრობლემაა „საქართველოს ფოსტისა“ და ექსპრესგადამზიდავი კომპანიების შემთხვევაშიც. „ფოსტის შესახებ კანონით“ „საქართველოს ფოსტა“ ბაზრის მონოპოლისტი ხდება, ექსპრესგადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ ეს კანონი ევროკავშირის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება და გადაწყვეტილებას ვერც ერთი უწყება ვერ იღებს...

— ამ საკითხზეც საკმაოდ ინტენსიურად ვმუშაობთ და მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ კანონი „საფოსტო კავშირის შესახებ“, ჯერჯერობით, მხოლოდ პროექტია, რომელიც პარლამენტშიც არ შესულა ანუ საკანონმდებლო ორგანოში განხილვის საგანი არ გამხდარა და მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროში შემუშავებულ დაუსრულებელ პროექტზე ვსაუბრობთ. აჟიოტაჟიც ამის გამო ატყდა. მინდა, ამ ბიზნესში ჩართული ყველა კომპანიის წარმომადგენელი დავამშვიდო და თქვენი საშუალებით ვუთხრა, რომ ამ კანონს მხოლოდ საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შევიმუშავებთ, რომლის საბოლოო ვერსია ყველა კომპანიასთან შეჯერდება და ამას „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენლებიც ეთანხმებიან.

— შეგვიძლია, თამამად განვაცხადოთ, რომ სახელმწიფო „საქართველოს ფოსტისგან“ ბაზრის მონოპოლისტს არ შექმნის?

— ყველა ოპერატორი, რომელიც ამ ბიზნესშია ჩართული, ინფორმირებული იქნება, რათა არ ჰქონდეს განცდა, რომ ვიღაც დაჩაგრავს ან ბიზნესს წაართმევს, ეს გამორიცხულია, პირიქით, ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ამ პროექტს დეტალურად განვიხილავთ და, თუ რომელიმე დეტალი გაუგებარი იქნება, აუცილებლად გამოსწორდება.

— მართალია, მცირე დრო გავიდა, რაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“ ამოქმედდა, მაგრამ თქვენი ინფორმაციით, რამდენად ეფექტურად იმუშავებს?

— მცირე დაზუსტებას შევიტან კითხვაში, რამეთუ მოქმედი კანონმდებლობით, საუბარია „კონკურენციის სააგენტოზე“, რომელსაც ცვლილებამდე „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ ერქვა.

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

რაც შეეხება კონკრეტულად კითხვას, ამ თემაზე საუბარი გამიჭირდება, ვინაიდან სააგენტო მართლაც ცოტა ხნის წინ, 15 აპრილს შეიქმნა და ამ ეტაპზე, მისი დაკომპლექტებაც კი არ დასრულებულა. გარდა ამისა, კანონმდებლობით განსაზღვრულია ვადა, თუ რა პერიოდში უნდა დასრულდეს სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება, თუ არ ვცდები, ეს ვადა 1 ოქტომბრამდეა. კონკურენციის სააგენტო პირდაპირ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაშია და მხოლოდ მის წინაშეა ანგარიშვალდებული. შესაბამისად, აღნიშნულ სააგენტოს მოქმედი კანონმდებლობით, ყველა სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან განსხვავებით, დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი, ლეგიტიმური ხარისხი აქვს.

— ნამდვილად არ მესმის და იქნებ განმიმარტოთ, რამდენად შესაძლებელია, პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული სააგენტო დამოუკიდებელი იყოს?

— მარტივად აგიხსნით — ამ სააგენტოს მოქმედებები არ ვრცელდება იმ სფეროებზე, რომლებსაც მარეგულირებელი კომისიები არეგულირებენ, მაგალითად ენერგეტიკულ საკითხებში სააგენტო ვერ ჩაერევა. მარეგულირებელი კომისიები კონსტიტუციური ორგანოებია, რომელთა წევრებს კონსტიტუციის მუხლების მიხედვით ირჩევენ და კანონით ის სფეროებიც განსაზღვრული აქვთ, რომლებსაც არეგულირებენ. „კონკურენციის სააგენტო“ კი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით შექმნილი უწყებაა, რომელიც ყველა იმ დანარჩენ სფეროს ფარავს, რასაც მარეგულირებელი კომისიები არ მოიცავს. შესაბამისად, რადგან სააგენტო არ არის შექმნილი ისე, როგორც მარეგულირებელი კომისია, მისი სამართლებრივი სივრცე ყველაზე მაღალი ხარისხითაა განსაზღვრული და პრემიერის დაქვემდებარებაშია, ამდენად ამ სააგენტოს სამართლებრივი დამოუკიდებლობის გარანტი მთავრობის ხელმძღვანელი ანუ პრემიერ-მინისტრია, რომელიც სწორი გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს.

— ციფრების მიხედვით, საქართველოში ეკონომიკის ზრდა შეინიშნება, მაგრამ ეს ტენდენცია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე ჯერ კიდევ არ ასახულა, როგორ ფიქრობთ, რატომ?

— ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით და აგიხსნით, რატომ — ეკონომიკის ზრდასა და ზოგადად, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც სწორედ ციფრები მეტყველებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტს რომ გადახედოთ და შეადაროთ, რა ხარჯები იყო ადრე სოციალურ სფეროზე და ახლა რა არის, განსხვავებას აშკარად იგრძნობთ. სოციალური ხარჯისთვის ადრე 1 500 000 000 ლარი იყო გამოყოფილი, ახლა 2 800 000 000 ლარია ანუ ზრდა 1 300 000 000 ლარია, რაც უზარმაზარი თანხაა. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ბიუჯეტის მესამედი მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე დახარჯოს, რაც უკვე უზარმაზარი ზრდაა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ქვეყნებში მოქმედებს, საქართველოშიც ამოქმედდა, ჩვენი ქვეყანაც ერთ-ერთია მათ შორის, სადაც სახელმწიფო თითოეულ მოქალაქეს აზღვევს და მათი ჯანმრთელობის გარანტია. პრაქტიკულად, ადამიანი არ არის საქართველოში, რომელსაც ოპერაცია სჭირდება, თანხა არ აქვს და მას სახელმწიფო გვერდში არ უდგას.

— თქვენი აზრით, ეკონომიკური ზრდა რამ განაპირობა, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები შემოვიდა?

— მარტივ მაგალითს გეტყვით: ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებული ერთ-ერთი წარმატებული კომპანიის „საქართველოს ბანკის“ აქციები, 2013 წლიდან გაორმაგდა. როდესაც უცხოელმა ინვესტორებმა დაინახეს, რომ საქართველოში ხელისუფლება კანონიერად, არჩევნების გზით შეიცვალა, როდესაც დარწმუნდნენ, რომ საქართველო ევროპული არჩევანის გზაზე დგას, სადაც ადგილობრივი კანონმდებლობა ჰარმონიაშია ევროპულ კანონმდებლობასთან, ამ ფაქტორების გამო გაორმაგდა „საქართველოს ბანკის“ აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე, სადაც ხელისუფლება ნამდვილად ვერ ჩაერეოდა. რამდენადაც ეკონომიკური ზრდის დამაიმედებელი ციფრები გვაქვს, იმდენად ბიუჯეტში, თანხების მობილიზების კუთხითაც კარგი შედეგი გვაქვს, რადგან გეგმა გადაჭარბებით სრულდება. რაც მთავარია, ფინანსთა სამინისტრომ, მხოლოდ ერთ თვეში, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, 60 000 000 ლარზე მეტი გასცა. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება, ვიდრე ყველა მოქალაქე არ დაკმაყოფილდება, რომელთა წლიური შემოსავალი 6 000 ლარს არ აღემატებოდა.

— ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზების ზრდა რას ნიშნავს, ბიზნესმა შვებით ამოისუნთქა და სახელისუფლებო წნეხისგან გათავისუფლდა?

— აბსოლუტურად გეთანხმებით, რადგან პირველი კვარტლის — იანვრის, თებერვლისა და მარტის მონაცემები რომ განვიხილოთ, დღგ-ს ბრუნვის ზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, რაც მხოლოდ კერძო ბიზნესის აქტივობამ გამოიწვია. პირველი კვარტლის მონაცემები ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნე, რომ ამ პერიოდში, თუნდაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საბიუჯეტო თანხები არ იხარჯებოდა, ანუ ეს მხოლოდ ბიზნესაქტივობის შედეგია. რაც შეეხება ინვესტიციებს, ახლაც საკმაოდ საინტერესო საინვესტიციო პროექტებს ვიხილავთ, ამ მხრივ სიახლეებიც იქნება, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებშიც. საკმაოდ ბევრი სამშენებლო მოედანი გაიხსნება საქართველოს მასშტაბით და ამას თითოეული მოქალაქე ნახავს.

— თქვენი აზრით, რა არის ყველაზე პრობლემური საკითხი ბიზნესსა და ზოგადად, ეკონომიკაში, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს?

— ჩემი აზრით, ბიზნესსაც და მოქალაქეებსაც სტაბილურობის გარანტია სჭირდება. ამისკენ საკმაოდ ინტენსიურად ვვითარდებით, სწრაფი ტემპით მივიწევთ წინ და დარწმუნებული ვარ, ბიზნესს სტაბილურობის შეგრძნება აუცილებლად ექნება. ბიზნესმა უნდა იცოდეს, რომ საგადასახადო კანონმდებლობაში, გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკრეტული ცვლილებები და ახალი რეგულაციები არ იქნება, თუმცა, თუ ასეთი ცვლილება მაინც საჭირო გახდება, მხოლოდ დეტალური მსჯელობის შემდეგ უნდა შევიდეს ძალაში, ბიზნესმა კი დიდი ხნით ადრე უნდა იცოდეს ამის შესახებ, რათა წინასწარ მოემზადოს. დეტალურად რომ ვიმსჯელოთ, გადასახადებთან დაკავშირებით, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საუკეთესო ჯამური მაჩვენებელი გვაქვს, თუმცა მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ინვესტიციების რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორი მხოლოდ გადასახადების სიმცირე არ არის, ამას სჭირდება მთავრობის პოზიცია, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და მიმზიდველი საგადასახადო გარემო. როდესაც ეს ყველაფერი კომბინირებულად, მწყობრად მუშაობს, სადაც ბიზნესსაც და ქვეყნის მოქალაქეებსაც სტაბილურობისა თუ უსაფრთხოების განცდა აქვს, ცხადია, ინვესტიციებიც მატულობს და ეკონომიკაც იზრდება. ეკონომიკის მნიშვნელოვანი წილი ტურიზმზე მოდის, ტურისტის მოზიდვის მთავარი პირობაა კონკრეტული კურორტები შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და უსაფრთხოებით. ჯამში, ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესა და მის განვითარებაზე აისახება.

— უკრაინის კრიზისის შემდეგ, განსაკუთრებით აქტუალური იქნება წლევანდელი ტურისტული სეზონი საქართველოში, როგორ ემზადება სახელმწიფო ამისთვის?

— ეკონომიკის საბჭოს ბოლო სხდომა ტურისტული სეზონისთვის მზადების საკითხს დავუთმეთ, სადაც ყველა დეტალი განვიხილეთ. ვიმსჯელეთ, რამდენად მზადაა სახელმწიფო ტურისტული სეზონისთვის და რა ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილება. გაერო-ს შესაბამისმა ორგანიზაციამ, ტურისტების ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, რეგიონში პირველ ადგილზე დაგვასახელა. დასაქმების კუთხით, ეკონომიკაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას მაღალი მაჩვენებელი აქვს, რადგან, რაც მეტი სასტუმრო აშენდება, მით მეტი ადამიანი დასაქმდება. საბოლოოდ, ეს პროცესი სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ინდუსტრიის განვითარებაზეც მოქმედებს. დღევანდელი მონაცემებით, თბილისში 10 000-მდე საწოლის დეფიციტია, სწორედ ესაა ინვესტორებისთვის თავისუფალი ნიშა, სადაც ამ ინდუსტრიის განვითარება შეუძლიათ. თბილისის სასტუმროები, დიდი ქალაქების სასტუმროების დატვირთვას თითქმის უტოლდება, რადგან საქართველოში ტურისტების შემოდინების პროცესი მზარდია, საწოლების რაოდენობა კი დეფიციტური, ანალოგიური ვითარებაა აჭარაშიც ანუ დღევანდელი მონაცემებით, უკვე არსებული ინფრასტრუქტურა ტურისტების მოზღვავებას ვეღარ უძლებს, ამიტომ ძალიან ბევრი სასტუმროს მშენებლობა და ამ მიმართულებით, სერვისის განვითარება გვჭირდება, რათა მეტი დამსვენებელი მივიღოთ. თუმცა ეს პროცესი მხოლოდ ზაფხულზე ორიენტირებული არ უნდა იყოს, ჩვენ ისეთი კურორტებიც გვაქვს, სადაც ტურისტების მიღება წელიწადის ოთხივე დროს შეგვიძლია. ახლა მიმდინარეობს მსჯელობა, რათა აჭარის მაღალმთიან რეგიონში ზამთრის კურორტი განვითარდეს. საკმაოდ საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა წელს, ბაკურიანსა და გუდაურში თოვლის სიმცირე იყო, აჭარის მაღალმთიან რეგიონში კი თოვლის საფარი 2 მეტრამდე აღწევდა. წყალტუბოს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას კარგი პერსპექტივა აქვს, მეტიც — საქართველოში სამკურნალო წყლების ტურისტული ინდუსტრიაც უნდა განვითარდეს, რაც წელიწადის ოთხივე დროს დაიტვირთება.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 4%-ია

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, 2014 წლის 7 მაისს, რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელია და 4%-ს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, თებერვლის სხდომაზე, შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივად გამოსვლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების ფორმულირების პროცესში, კომიტეტი ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მაკროეკონომიკურ პროგნოზსა და არსებული რისკების ანალიზს ეყრდნობა. გაჯანსაღებული ეკონომიკური აქტივობისა და მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებლის ზრდის ფონზე, რომელიც მიზნობრივ მაჩვენებელს თანდათან უახლოვდება, კომიტეტი კვლავაც მიიჩნევს, რომ შერბილებული პოზიციიდან გამოსვლის საჭიროება არსებობს. თუმცა, ბოლო პერიოდში წარმოქმნილი გეოპოლიტიკური რისკები, ეკონომიკური გარემოსთვის გაურკვევლობის შემცველია, რომელთა გათვალისწინებითაც, კომიტეტმა განაკვეთის უცვლელად დატოვება გადაწყვიტა.

შიდა მოთხოვნის მხრივ, წლის პირველ კვარტალში დადებითი ტენდენციები ნარჩუნდება და ეკონომიკური აქტივობა ზომიერ ზრდას განაგრძობს. წინასწარი შეფასებით, 2014 წლის პირველ კვარტალში, ეკონომიკურმა ზრდამ 7.4% შეადგინა, რაშიც გარკვეულწილად, საბაზო ეფექტმაც შეიტანა წვლილი. მიუხედავად მაღალი ზრდისა, პოტენციური დონიდან გადახრა კვლავ უარყოფითია. აქვე აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში, საკრედიტო აქტივობა შედარებით შენელდა. არსებული მონაცემების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის პროგნოზი ინფლაციის მაჩვენებლის ეტაპობრივ ცვლილებაზე მიუთითებს და მოსალოდნელია, რომ მიზნობრივ დონეს, 2014 წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდება. აპრილში წლიურმა ინფლაციამ 3.4% შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად კი მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას გამოიყენებს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა, 2014 წლის 18 ივნისს გაიმართება.

„ბი-პი-აი“

ტურისტების რაოდენობა 12%-ით გაიზარდა

საქართველოში ტურისტების რაოდენობა 12%-ით გაიზარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, აპრილში საქართველოს 519 482 ტურისტი ეწვია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის აპრილში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა 12.1%-ით გაიზარდა.

2014 წლის აპრილი 390 685 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 7.1%-ით მეტია. რაც შეეხება იანვარ-აპრილის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 1 396 952 ვიზიტი განხორციელდა, რაც 7.4%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

2014 წლის აპრილში, ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან — 14.6%, აზერბაიჯანიდან — 14.1%, სომხეთიდან — 12.4%, რუსეთიდან — 41.3% და უკრაინიდან — 22.2% განხორციელდა. პოზიტიური ტენდენცია შენარჩუნდა ევროკავშირის ქვეყნებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-აპრილშიც ტრადიციულად გამოირჩნენ პოლონეთი — 101%, ლიტვა — 65%, იტალია — 28%, ლატვია — 18%, ნიდერლანდები — 16% და გერმანია — 14%. შუა აზიის ქვეყნებიდან, საქართველოში ტურისტების ვიზიტების რაოდენობით გამოირჩეოდა ყაზახეთი — 21%, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ისრაელი — 34%, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი ბელორუსი — 50% და მოლდოვა — 19%.

„ბი-პი-აი“

მერიის მისაღებში ხალხს ტანჯავენ!

„იძულებულს მხდიან, რუსეთის მოქალაქეობა მივიღო, იქ პენსიას მაინც დამინიშნავენ, 480 დოლარს“

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

თბილისის მერიის მისაღებში, ე.წ. ცხელი ხაზის აპარატებთან, ყურმილმომარჯვებული ხალხი ხმის ჩახლეჩამდე ჩხუბობს. ოპერატორები კი, თვეობით ლოდინისგან გათანგულ ადამიანებს თავიდან ერთი და იგივე პასუხით იშორებენ... მოკლედ, თუკი პატრონი არ გყავს, აქ ძაღლადაც არავინ ჩაგაგდებს...

— ე.წ. აფრიკის კერძო დასახლებიდან ვართ, — **მეუბნება ქალბატონო ნანა,** — დაახლოებით ერთი თვის წინ, უბანში, ერთ ადგილას, მიწამ დაიწია. ვიფიქრეთ, რომ მილი იყო გახეთქილი და „წყალკანალის“ თანამშრომლები გამოვიძახეთ, რომლებმაც ჩვენი ეჭვი უარყვეს. მერე, როცა ღობეების შემოგარენი და ვანა-ტუალეტებიც დაიბრიცა, „წყალკანალი“ ისევ გამოვიძახეთ. მუშებმა დიდი ორმო ამოთხარეს და გაირკვა, რომ გახეთქილი მილებიდან წყალი თერგივით მოედინება. „წყალკანალის“ წარმომადგენლებმა, უბრალოდ, რეზინები გადაახვიეს და დროებით გააჩერეს, თან გვირჩიეს, კაპიტალური შეკეთების თაობაზე მერიაში დაწერეთ განცხადებაო... განცხადება 29 აპრილს დავწერეთ, ახლა მეუბნებიან, 30 დღეში განიხილება, მაგრამ ეგ საკითხი წყალკანალის კომპეტენციაში შედისო. ვეღარ გავიგე, რა გავაკეთოთ, შავ დღეში ვართ. 30 დღე კი არა, 30 საათსაც ვეღარ ვითმენთ.

— დღეში ასჯერ ვრეკავთ ხან „წყალკანალში“, ხან მერიაში, მაგრამ წესიერ პასუხს არავინ გვცემს, — **კვერს უკრავენ ქალბატონ ნანას მეზობლები.**

— ეჰ, შვილო, აქ იმდენჯერ ვარ ნამყოფი, ასეთი ტემპით, „გეპეის“ მეორედ დავამთავრებდი, — **ჩამჩურჩულა შუახნის მამაკაცმა. მერე ხელკავი გამომდო და გვერდით გამიყვანა, ალბათ, არ უნდოდა, ჩვენი საუბარი ვინმეს მოესმინა,** — მერია აუღებელი ციხე-სიმაგრეა. ღვიძლი მეშლება და წამლის ვაუჩერის მისაღებად მერიას 29 აპრილს მივმართე, საკითხი განიხილება და იქით კვირას მოდიო, მითხრეს. მოვედი, მაგრამ მეუბნებიან, მას, ვისაც ეს საქმე ეხება, ბავშვი ჰყავს ავად და სამსახურში არააო. სოციალურად დაუცველი, უსახლკარო ვარ, ქუჩაში მძინავს, ბინას ვინ ჩივის, თავშესაფარი ქირითაც არ მომცეს. მოხუცებულთა სახლში მეკუთვნის განთავსება, ეგეც არ მაღირსეს. ჯანმრთელობისა და სოციალურად დაუცველთა სამინისტროშიც რამდენი წელია მატყუებენ... წლების განმავლობაში, მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის „გარაჟის“ უფროსი ვიყავი, ცოლ-შვილი რუსეთში მყავს. საქართველოში იმიტომ დავბრუნდი, რომ თბილისელი, პატრიოტი კაცი ვარ, — **ბატონი ოთარი გულმკერდის არეში ნაიარევს მაჩვენებს,** — იძულებულს მხდიან, რუსეთის მოქალაქეობა მივიღო, იქ პენსიას მაინც დამინიშნავენ, 480 დოლარს. მერე იკითხავენ, ხალხი საქართველოდან რატომ გარბისო? დამასაქმონ, ჩემო ბატონო და, არსად წავალ, მაგრამ ვის რაში ვჭირდებით? — ჩამოსულებს ასაქმებენ.

— შრომისუუნარო, მარტოხელა ქალი ვარ, 5 თვეა, ვითხოვ და არ მაღირსეს კუთვნილი ელექტროენერგიის ვაუჩერი. ვისაც ეს ეხება, იმ ქალბატონმა მითხრა, არ ვიყავი და თქვენი მოთხოვნა უკვე გადაგზავნილიაო. იანვრის შემდეგ, მერიაში თითქმის ყოველდღე მოვდივარ, საერთოდ, ყველგან იმათ ეხმარებიან, ვისაც ბევრი ფული აქვს, – **უყვიროდა ცხელი ხაზის ოპერატორს ქალბატონი.**

— ნეტავ, ტელეფონებს რამდენ ხანში ერთხელ ცვლიან? — **მკითხა ვაუჩერის ლოდინით გაბრაზებული მოქალაქის ქცევით გაკვირვებულმა ქალბატონმა ელენემ, თან საკუთარი მოსვლის მიზეზიც გამიმხილა,** — ჩვენი კორპუსი ავარიულია, მადლობა ღმერთს, სერიოზული პრობლემა არ არის. ახალგაზრდა მამაკაცმა თავაზიანად ამიხსნა, რომ რიგში 36-ე ვარ და აუცილებლად მოგვხედავენ. იმედი მაქვს, ამ ზაფხულს ეს პრობლემა მოგვარდება.

მერიის მისაღების დატოვებას ვაპირებდი, ხელებში თავჩარგული მამაკაცი რომ შევნიშნე. მივუახლოვდი და გამოველაპარაკე:

— ჩვენს ქალაქში, წლების განმავლობაში, კანალიზაციის მილი იყო შესაკეთებელი, რომელიც ნალექის დროს იჭედებოდა და მოსახლეობას ეზოს გვიტბორავდა. ახლა, როგორც იქნა, გვეღირსა და ამ საკითხზე მუშაობა დაიწყეს, მაგრამ კომპანია, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა, ახალ გაყვანილობას ცუდად აკეთებს — მილების დაქანება არასწორია. პროფესიით ინჟინერი ვარ და ვიცი, ყველაფერი ხელახლა გასაკეთებელი გახდება, სახელმწიფოსგან ამხელა თანხა ტყუილად იხარჯება. არ მიჯერებენ, ამიტომ სპეციალისტთან მინდა დალაპარაკება, ნორმატიული აქტი რომ შევადგინო და ტენდერში გამარჯვებულებს ჩემი სიმართლე დავუმტკიცო.

— თბილისში რატომ ჩამოხვედით, რაიონის გამგეობას რატომ არ მიმართეთ?

— გამგეობაში მითხრეს, თბილისის მერიაში მიდი, იქ სპეციალისტები ჰყავთ და გაგესაუბრებიანო. მახსოვს, ადრე სახელმწიფო კომიტეტი იყო, სადაც შეგეძლო მსგავსი საკითხები გაგერკვია. არავის ვუჩივი, უბრალოდ, მიმასწავლონ კომპანია, რომელიც მსგავს რაღაცებს აპროექტებს, მივალ და სპეციალისტს წყნარად დაველაპარაკები, თუ ფულია გადასახდელი, გადავიხდი, გენაცვალე. დაგვტანჯა ხალხი ამ წყლის ამბავმა, გვინდა, პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას, მაგრამ გამოდის, რომ აქაც ტყუილად ჩამოვედი, ვერ დაგეხმარებითო, მითხრეს და ყურმილი დაკიდეს. რა გავაკეთო, სად წავიდე, აღარ ვიცი.

„ვერსიის“ ჩარევის შემდეგ, მერიის ცხელი ხაზის ოპერატორმა ინება და ბატონი ზაური დააკვალიანა, პროფესიონალთან გასაუბრებას რომელ საპროექტო კომპანიაში შეძლებდა...

პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა

პირველი ასეთი დღესასწაული მიმდინარე წლის 17 მაისს აღინიშნება, — ამის შესახებ მრევლს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას აცნობა.

ილია მეორე სამღვდელოებას აძლევს ლოცვა-კურთხევას, 17 მაისს, 12:00 საათზე ტაძრებში ჩაატარონ პარაკლისი, ნაკურთხი წყლით აკურთხონ ტაძრები, სახლები, ოჯახები და ქუჩები. ოჯახებში ნაკურთხი წყლის პკურების კურთხევას პატრიარქი საერო პირებსაც აძლევს.

ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ოჯახის სიმტკიცეზე, მშობლებისა და შვილების ურთიერთობებზე იქადაგა და ბრძანა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ოჯახში იზრდება ადამიანი. **„ადამიანის ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, ოჯახში ყალიბდება. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ოჯახში იზრდება ის. ადამიანის ხასიათი, მისი თვისებები, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ღვთის ლოცვა-კურთხევაზე, დამოკიდებულია მშობლებსა და წინაპრებზე და დამოკიდებულია თვით ადამიანზე. თუკი ადამიანი ცდილობს, დაინახოს საკუთარი თავი, თუ შეუძლია, განიცადოს საკუთარი ცოდვები, ის ბედნიერია, ის გამოსწორდება. მას უფალი აძლევს მადლს და ცოდვებისგან განიწმინდება. ადამიანის ცხოვრება ურთულესი პროცესია, ურთულესი ფერისცვალება. ერთ ადგილზე არც ერთი ადამიანი არ დგას, ყველა თავის ფერისცვალებას განიცდის. ჯოჯოხეთიდან ცამდე აღმართულია კიბე, ამ კიბეზე ზოგი მაღლა მიდის, ზოგი დაბლა. შევთხოვ უფალს, მოგვცეს ძალა და მადლი, რომ ვიაროთ მაღლა და სასუფევლის ღირსი გავხდეთ. რამდენიმე წელია ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ და არაერთხელ გვითქვამს, რომ მშობლების კურთხევა ეს არის ღვთის კურთხევა. ამიტომ თქვენ უნდა დალოცოთ თქვენი შვილები, ნაკურთხი ხატით უნდა დალოცოთ ისინი, ყოველდღე შვილები უნდა ემთხვიონ თავიანთ მშობლებს ხელზე. ამ დროს ზეციდან გადმოდის მადლი სულიწმინდისა. განსაკუთრებით საყურადღებოა ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. შვილებმა ოჯახში ხმამაღალი სიტყვა არ უნდა მოისმინონ. არ უნდა გაიგონონ ცუდი სიტყვა, ლანძღვა-გინება. მათ უნდა ესმოდეთ სიკეთე და ასე გააგრძელებენ ცხოვრებას. ამიტომ ვფიქრობთ, თუ როგორ უნდა ვილოცოთ, როგორ გადავუხადოთ მადლიერება მშობლებს. მივიღეთ ასეთი განჩინება, ყოველი წლის 17 მაისს იყოს ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების მოხსენიების, მშობლების პატივისცემის დღე. ამ დროს მთელი ერი უნდა გამთლიანდეს — მშობლები და შვილები. უნდა აღვავლინოთ ლოცვები, ერთი პირით, ერთი ძალით და ერთი გონებით. სამღვდელოებას ექნება ლოცვა-კურთხევა, ამ დღეს 12 საათზე ჩაატარონ პარაკლისები ტაძრებში და ნაკურთხი წყლით აპკურონ ტაძარი, ოჯახები, ქუჩები, ასევე ლოცვა-კურთხევა ეძლევა საერო ადამიანებს, რომ ნაკურთხი წყლით აკურთხონ ოჯახი და საკუთარი თავი. პირველი ასეთი დღესასწაული იქნება 17 მაისს. თქვენ ნახავთ, როგორ გაძლიერდება თქვენი სული, გონება, სხეული და როგორ გაძლიერდება საქართველო“,** — ბრძანა პატრიარქმა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

იტალიელები ვიქტორ სანიკიძეს გადასახადების დამალვაში ამხელენ

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე გადასახადების დამალვაში ეჭვმიტანილთა სიაში ფიგურირებს, — იუწყება იტალიური გამოცემა Corriere Di Bologna.

იტალიური „მონტეპასკის“ 17 ყოფილი მოთამაშე, რომელთა შორის საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ფორვარდი ვიქტორ სანიკიძეცაა მოხსენიებული, გადასახადების დამალვაში ფიგურირებს. სიაში სანიკიძესთან ერთად მოხვდნენ: კშიშტოფ ლავრინოვიჩი, რიმანტას კაუკენასი, შონ სტონრუკი, რომეინ სატო, ბენ ეზე, ბო მაკალები, ჰენრი დომერკანტი, ნიკოს ზისისი, ვლადი იულიევსკი, ბუტსი ტორნტონი, დევიდ მოსი, მალიკ ჰეირსტონი, დავიდ ანდერსენი, დევიდ ჰოუკინსი, მილოვან რაკოვიჩი და იგორ რაკოჩევიჩი.

ჩამოთვლილი კალათბურთელები დაკავშირებულნი არიან „მონტეპასკის“ ექსპრეზიდენტის, ფერდინანდო მინუჩის საქმესთან, რომელიც ახლახან დააკავეს.

გამოცემის ინფორმაციით, ვარაუდობენ, რომ მინუჩიმ სახელმწიფოს 16 მლნ ევრო დაუმალა, რომელიც მოთამაშეთა კონტრაქტებისა და ხელფასებიდან ბიუჯეტში გადასახადის სახით უნდა შეეტანა. საუბარია სიენური კლუბისთვის „ოქროს ხანაზე“, როდესაც „მონტეპასკი“ იტალიის ჩემპიონი ზედიზედ ხდებოდა (2007-2013) და ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ თამაშობდა.

იტალიური გამოცემის ცნობით, იტალიურმა პოლიციამ უკვე დაიწყო საქმის მონაწილეთა სატელეფონო საუბრებისა და ელექტრონული მიმოწერის გაშიფვრა.

ვიქტორ სანიკიძე სიენის „მონტეპასკის“ ღირსებას 2012-13 წლებში იცავდა, საიდანაც ესპანურ „სარაგოსაში“ გადავიდა და დღემდე ამ გუნდის ღირსებას იცავს.

„ინტერპრესნიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

					3	2		
2	9			8		5		4
	4	3	2					
4			3					1
	6			9			5	
3					1			2
					4	7	2	
7		4		5			6	8
		8	9					

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	6					3		
8				3		9	5	
1		3		2			6	
		5		7	2	6		
			9		5			
		6	1	8		2		
	3			9		4		8
	8	7		1				9
		9					3	

ᲠᲗᲣᲚᲘ

5		3			8			
	2				5			3
	9					1		
3						4		
4	6		5		3		2	7
		8						9
		6					9	
1			8				3	
			6			7		2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

						9		
9					1		5	
	5	4	9	8			2	
	1				2			3
	4			9			7	
5			7				1	
	2			1	9	8	4	
	7		4					2
		8						

ძეხვში მკვდარი თაგვი აღმოაჩინა

რუმინელი ნელუ ლუკა შოკში ჩავარდა, როცა უმაღლესი ხარისხის ძეხვში მკვდარი თაგვი აღმოაჩინა. ამის დაჯერებაც კი მიჭირს. პროდუქტს დიდი სიფრთხილით ვარჩევ, გარეგნულად ძეხვი შესანიშნავად გამოიყურებოდა, — აცხადებს ლუკა. პროდუქტის მწარმოებელი კომპანია Tabco Campofrio Romania კი იმედოვნებს, რომ ექსპერტები შესამოწმებლად გაგზავნილ ძეხვში ჯანმრთელობისთვის საშიშს ვერაფერს აღმოაჩენენ. ჯერჯერობით, გამოძიება გრძელდება და კომპანიას მხოლოდ 2 ათასი დოლარის ჯარიმის გადახდა ემუქრება. მათი წარმომადგენლები მომხდარს საბოტაჟად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ მღრღნელი პროდუქციაში განზრახ ჩადეს.

ქურდმა ფოტოს შეცვლა მოითხოვა

ბრიტანელმა ქურდმა ქალაქ სუონსიდან, რომელსაც გაზეთში გამოქვეყნებული საკუთარი ფოტო არ მოეწონა, მისი შეცვლა მოითხოვა და ჟურნალისტებს ახალი გაუგზავნა. მეთიუ მეინარდმა ადგილობრივ გაზეთში საკუთარი თავი აღმოაჩინა — მისი ფოტო პოლიციამ დაბეჭდა, რამდენიმე დამნაშავის სწრაფად მოძებნის მიზნით. 23 წლის ქურდმა გადაწყვიტა, რომ ფოტოზე კარგად არ იყო აღბეჭდილი, სპეციალურად გადაიღო ახალი პოლიციის მანქანის ფონზე და რედაქციას გაუგზავნა. გაზეთმა ეს ფოტოც დაბეჭდა წარწერით „თავხედი ქურდი“. სამართალდამცავებმა კი მეინარდს მადლობა გადაუხადეს. ის ძალიან სულელია, ეტყობა ფიქრობს, რომ ჭკვიანურად მოიქცა, მაგრამ ახლა მას უცებ დავიჭერთ, მთელმა ქალაქმა იცის, როგორ გამოიყურება, — ამბობენ პოლიციელები.

ᲛᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲣᲚᲝᲙᲐᲕᲔᲜ

თვალების ალოკვა ძალიან საშიშია, — აცხადებენ იაპონელი მედიკოსები. შეშფოთების საფუძველი კი მათ ნამდვილად აქვთ: დღეს, ამომავალი მზის ქვეყანაში მოზარდებში სულ უფრო პოპულარული ხდება საყვარელი ადამიანისთვის თვალის კაკლის ალოკვა, რამაც ქვეყანაში კონიუქტივიდის ტალღა გამოიწვია. ახალგაზრდა იაპონელები ერთმანეთს საკუთარი გრძნობების სერიოზულობას ამ არატრადიციული, საკმაოდ უჩვეულო მეთოდით უმტკიცებენ. მამაკაცის მხრიდან სიმპათიის გამოვლინების უმაღლეს საფეხურად ითვლება მისი მზადყოფნა, შეყვარებულ გოგონას თვალის კაკალი აულოკოს. სავარაუდოა, რომ მოზარდებს სიყვარულის ორიგინალური გამოვლინებისკენ მანგის (იაპონური კომიქსების) სიუჟეტებმა და პოპულარულმა ვიდეოკლიპებმა უბიძგა, რომელშიც ახალგაზრდები ერთმანეთს თვალებს ულოკავენ. მედიკოსები კი განგაშის ზარს რეკენ: ასეთმა სასიყვარულო თამაშებმა ქვეყანაში თვალის დაავადების გავრცელება გამოიწვია. ექიმები აცხადებენ, რომ თვალი და განსაკუთრებით მისი ლორწოვანი გარსი ძალიან მგრძნობიარეა, ახალი მოდა კი ბაქტერიების გადაცემის მარტივი მეთოდი აღმოჩნდა. ახლა ბევრ იაპონელ გოგონას თვალები ცრემლით აქვს სავსე, თუმცა მიზეზი მოზღვავებული გრძნობები კი არა ინფექციაა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	6	9	4	5	8	3	2	7
2	8	7	6	3	1	9	5	4
5	4	3	9	7	2	1	8	6
9	5	8	2	6	7	4	3	1
7	3	4	5	1	9	8	6	2
6	2	1	3	8	4	5	7	9
4	7	5	8	9	6	2	1	3
3	1	2	7	4	5	6	9	8
8	9	6	1	2	3	7	4	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	4	1	9	3	8	7	5	6
9	8	7	6	5	4	3	2	1
6	5	3	2	1	7	9	4	8
7	6	5	8	4	3	2	1	9
1	3	4	5	2	9	8	6	7
8	2	9	7	6	1	5	3	4
5	1	8	4	9	2	6	7	3
3	9	2	1	7	6	4	8	5
4	7	6	3	8	5	1	9	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	6	9	7	3	5	2	1	8
5	3	2	8	4	1	9	7	6
8	1	7	6	2	9	5	4	3
3	7	1	5	9	2	8	6	4
6	9	8	4	1	7	3	5	2
2	5	4	3	6	8	1	9	7
1	4	6	9	8	3	7	2	5
9	8	5	2	7	6	4	3	1
7	2	3	1	5	4	6	8	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	2	5	8	7	4	6	1	9
9	1	7	6	3	5	8	2	4
4	8	6	2	1	9	7	3	5
1	3	8	5	6	7	9	4	2
2	5	4	3	9	8	1	7	6
7	6	9	4	2	1	5	8	3
5	4	3	1	8	6	2	9	7
8	9	2	7	5	3	4	6	1
6	7	1	9	4	2	3	5	8

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	4	3	9	1	2	8	7	5
5	2	1	8	7	6	4	3	9
9	8	7	5	4	3	6	2	1
4	6	2	3	9	7	5	1	8
3	1	9	6	8	5	7	4	2
8	7	5	4	2	1	3	9	6
2	9	4	7	6	8	1	5	3
1	5	8	2	3	4	9	6	7
7	3	6	1	5	9	2	8	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	3	4	1	5	6	8	2	9
2	9	1	3	4	8	7	6	5
8	6	5	7	9	2	4	1	3
6	1	3	8	7	5	9	4	2
9	4	2	6	3	1	5	8	7
5	8	7	4	2	9	6	3	1
4	7	9	2	8	3	1	5	6
3	5	6	9	1	4	2	7	8
1	2	8	5	6	7	3	9	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	5	4	3	2	9	1	8	7
2	7	1	8	6	5	4	3	9
3	9	8	4	1	7	5	6	2
9	3	7	5	8	4	2	1	6
1	8	6	2	7	3	9	5	4
5	4	2	1	9	6	3	7	8
7	2	5	6	4	1	8	9	3
8	6	3	9	5	2	7	4	1
4	1	9	7	3	8	6	2	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	3	7	5	1	9	8	6	4
1	9	6	7	4	8	5	3	2
8	5	4	3	2	6	1	9	7
5	8	3	6	9	2	7	4	1
7	4	1	8	5	3	6	2	9
6	2	9	1	7	4	3	5	8
4	1	8	2	6	5	9	7	3
9	7	5	4	3	1	2	8	6
3	6	2	9	8	7	4	1	5

მე-10 გვერდი: 1. მათრხი; 2. სეკუნდა; 3. მემუარები; 4. თედო; 5. ატრია; 6. იუანი; 7. სედრაქი; 8. კარლო; 9. ნეცკე; 10. აგავა; 11. ამუდარია; 12. ნუბია; 13. ლისი; 14. ტრეპანაცია; 15. ადორაცია; 16. პოტომაკი; 17. თოკი; 18. მატე; 19. ნასტურცია; 20. აპოთემა; 21. ვან; 22. ლატი; 23. ბერსაბე; 24. ებონიტი; 25. ილარიონი; 26. ეტიკეტი; 27. რუნი; 28. სფერო; 29. ექო; 30. იატაკი; 31. ბიაზი; 32. ფელინი; 33. რომი; 34. მალამო; 35. კლასიკა; 36. ელიბო; 37. იბისი; 38. ტაი; 39. ლაილაი; 40. რალი; 41. ემბაზი; 42. კორსი; 43. ურანია; 44. აკმე; 45. ილტო; 46. ასაკი; 47. კასა; 48. ტარზანი; 49. არა; 50. ხაო; 51. მარინა; 52. ოთარ; 53. სერი; 54. ცარცი; 55. იტალიკი; 56. ცია; 57. ნიკ; 58. ტრიკო; 59. იან; 60. აპოხტი; 61. თრია; 62. თალია; 63. „ჯენოა“; 64. ადა; 65. ოინი.

მე-12 გვერდი: 1. ჰიტი; 2. მაქსიმუსი; 3. პიუზო; 4. ლიმფა; 5. ათოსი; 6. თერმომეტრი; 7. სანტიმეტრი; 8. პარიზი; 9. იბისი; 10. ფაზისი; 11. გრანტი; 12. დუნე; 13. შური; 14. ოდიში; 15. ომი; 16. ობი; 17. მუმუ; 18. აარონი; 19. ალეგორია; 20. ამაო; 21. უსამი; 22. ვენერა; 23. ხბო; 24. ბასილა; 25. ნაგანი; 26. ტეტია; 27. ზღარბი; 28. ლოცია; 29. კოტილიონი; 30. ბაზილიკა; 31. ბილანი; 32. ბურნუთა; 33. გო; 34. კოლიზია; 35. ორეადა; 36. ნოე; 37. აპია; 38. ონონი; 39. ზებრა; 40. ლოლუა; 41. ერ; 42. გეორგინი; 43. ალკატრასი; 44. ლაფანყური; 45. ტიციანი; 46. ლაკუნა; 47. უნია; 48. მთა; 49. ალია; 50. ალბა; 51. მაია; 52. ნაია; 53. აივანი; 54. ოტარიდი; 55. ბრიგელა; 56. ადა; 57. აპაში; 58. მაჯა; 59. ფეორუ; 60. რაკეტა; 61. ქიმერა; 62. გრო; 63. ანტრაქტი; 64. შტურმი; 65. ალიზი; 66. უპე; 67. ბრიყვი; 68. ნაქი; 69. ტუვა; 70. იაგდტაში; 71. წიქარა; 72. ერმაკი; 73. ასი; 74. ნაულა; 75. ეილერი; 76. ლილუ; 77. პეტარდა; 78. მზია; 79. „ოსერი“; 80. ელი; 81. იავა; 82. მერი; 83. მამაი; 84. „ვიი“; 85. მაზლი.

1. წინა-დადების ძირითადი წევრი
2.შუმერთა ლეგენ-დარული მეფე
3. სოფელი დუშეთის რაიონში
4. „კუდმაკ-რატელა“ ფრინველი
5.მსოფლ. პირველი ჩემპიონი ჭადრაკში
6.თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი
7. სისხლის აღრევა
8. ზევსის მერიქიფე
9. ერთქმრი-ანობა
10.„მწუხ-არება სხვისა კეთილსა ზედ“ (საბა)
11. ძრავის ასამოქ-მედებელი მოწყობ.
12. ეკლესიიდან განდევნა, შეჩვენება
13. მოუხ-არშაკი, ან შეუწველი
14. დარიშხ-ანის მჟავას მარილი
15. წონის ერთეული, 100 კგ
16. იგივეა, რაც ივარა
17. ახლო მონათესავე ცხოველების შეჯვარება
18. საჭადრაკო რეიტინგების ავტორი
19. ბოროტ. ღვთაება სპარსულ რელიგიაში
20. ქართული მხატვრული ფილმი
21. ბაში-აჩუკის ნამდვილი სახელი
22. ზღ-ვარი, მიჯნა
23. ლუის კეროლის ზღაპრის გოგონა
24. ქარიბდას მეწყვილე ურჩხული
25.„ტომი და ჯე-რის“ კომ-პოზი-ტორი
26. თოვ-ლის კაცი
27. ფეხბურთის მეფე
28.ძველი, გაფუჭე-ბული კვერცხი
29. შურის-ძიების ქალღმერთი
30.ალკო-ჰოლიზმით შეპყრობილი ადამიანი
31. იაპონ-ური ცივი იარაღი
32. გარეული ფრინველი
33. მფრთხალი, შეუჩვეველი ფრინველი
34. დეკო-რატიული ძაღლის ჯიში
35. პოლონეთის საფეხ-ბურთო კლუბი ქალაქ ვარშავიდან
36. 10-ცენ-ტიანი მონეტა აშშ-ში
37.ვენეციის მმართველის მეუღლის ტიტული
38. მიმართვა ესპანელი მა-მაკაცისდმი
39.ლონგვესტ. ნაწილი, სწავ. სიტყვათა მნიშვნელ.
40. ორად-გი-ლიანი ველოსიპედი
41. წრეწირის ნაწილი
42. მუსი-კალ. გამის V ნოტი
43.ხორცის ან თევზის უძვლო ნაჭერი
44. ზევსის დედა
45. ბგერის გრაფიკული ნიშანი
46. იგივეა, რაც ცვარი
47. მდინარე საფრან-გეთში
48. მოდების ჟურნალი
49. ფრანგი ფერმწერი
50. ტოგოს დედაქალაქი
51. ირანის ფულის ერთეული
52. აშშ-ის პრე-ზიდენტი ... ობამა
53. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
54. „ქვინის“ გიტარისტი
55. ერთგვარი პატარა ჩიტი
56.ოსტაპ ბენდერის „კომპა-ნიონი“
57.მაუგლის პითონი
58.სათვალ-იანი გველი
59. ჯიმ კერის კინოროლი ... ვენტურა
60. იაპონური ეროვნული სპორტი
61. სხვადასხვა რასის „ნაჯვარი“
62.ლეგენ-დარული ინგლისელი გოლკიპერი

გარდაწვლილს ტელევიზიის გადასახადს სთხოვდნენ

500 წლის წინ მცხოვრები ცნობილი გერმანელი მათემატიკოსის, ადამ რისის სახელზე ცოტა ხნის წინ უწყება მივიდა, რომელშიც ადრესატს ტელევიზიისა და რადიოს მოხმარებისთვის სალიცენზიო გადასახადის შეტანას სთხოვდნენ. მოთხოვნა რისის მიერ 1525 წელს შეძენილი სახლის მისამართზე გაიგზავნა. მას შემდეგ, რაც მათემატიკოსის თაყვანისმცემელთა კლუბის მეთაურმა გადასახადების ამკრეფ სააგენტოს შეატყობინა, რომ რისი 1559 წელს — რადიოსა და ტელევიზიის გამოგონებამდე კარგა ხნით ადრე გარდაიცვალა, უწყება სახლში ხელმეორედ გაიგზავნა. როგორც გერმანული პრესა წერს, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა გადასახადების ამკრეფები შეტყობინებას დიდი ხნის გარდაცვლილებს უგზავნიან — ორიოდე წლის წინ შილერის სახელობის ერთ-ერთ სკოლას უწყება მიუვიდა, რომლის მიხედვითაც „სიხარულის ოდას“ ავტორს რადიოსა თუ ტელევიზორის დეკლარირება უნდა მოეხდინა და შესაბამისი გადასახადიც გადაეხადა, თვეში 17 ევროს ოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში კი 1805 წელს გარდაცვლილ ადამიანს სასამართლოთი ემუქრებოდნენ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ფეხის პლასტიკა მოდური ფეხსაცმლისთვის



ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო პოპულარულია ფეხის ტერფის პლასტიკური ოპერაციები — პლასტიკურ ქირურგებს ქალები მოდური ფეხსაცმლით აკითხავენ და სთხოვენ, ისეთო ფორმის ტერფი გაუკეთონ, რომ ნებისმიერი ფეხსაცმლის ჩაცმა შეძლონ. ბევრმა იცის, ალბათ, ძველ დროში ჩინეთში როგორ ამახინჯებდნენ გოგონებს, რათა ფეხის ზრდა შეეჩერებინათ, ფაქტობრივად მომტვრეული ტერფის გამო, ისინი ნორმალურად ვერც დადიოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, სარფიანად თხოვდებოდნენ. როგორც ჩანს, ამ მხრივ დრო ვერაფერს ცვლის და სუსტი სქესის წარმომადგენლები მზად არიან, სილამაზისთვის მსხვერპლი გაიღონ. ამერიკელი ქირურგები ყვებიან, როგორ უმოკლებენ ფეხის თითებს გოგონებს, რადგან გარკვეული „დეფექტი“ ხელს უშლის სასურველი ფეხსაცმლის მორგებაში. თავდაპირველად, ასეთ პლასტიკურ ოპერაციებს მოდელები მიმართავდნენ, რომელთაც უჭირდათ ჩვენებების დროს სხვადასხვა ფეხსაცმლის მორგება.

მსუქანი ბრიტანელები საფლავში ძვირს გადაიხდიან

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ახალი განკარგულება შედის ძალაში მათთვის, ვისაც ჭარბი წონის პრობლემა აქვს — ამიერიდან მსუქნების დაკრძალვა 75 გირვანქა სტერლინგით ძვირი ეღირება. ასეთ გადაწყვეტილებამდე ბრიტანეთის ხელისუფლება სასაფლაოების თანამშრომელთა მიმართვის შემდეგ მივიდა — ისინი ჩიოდნენ, რომ მსუქანი ადამიანები გაცილებით მეტ ადგილს იკავებენ. ჯერჯერობით ახალი წესები მხოლოდ ბედფორდშირის საგრაფოში მოქმედებს, სადაც მძიმეწონიანი მოქალაქის დამარხვა 194 გირვანქა სტერლინგი დაჯდება, გამხდარი მიცვალებულის პატრონს კი 129 გირვანქის გადახდა მოუწევს. როგორც ბრიტანეთის საბჭოს დამკრძალავი კომიტეტის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს ღონისძიება „აუცილებლობამ“ განაპირობა, რადგან სასაფლაოებზე ბოლო დროს ადგილის დეფიციტია.

სუდოკუ

ადვილი

	1		8	4	7			
	7							8
	3			1		9		
		4			5		8	
6				7				5
	2		6			7		
		2		5			4	
1							9	
			1	3	8		5	

სტანდარტი

	2			7				6
	9			6				1
1					4		8	
					3	4	2	8
7	5	3	4					
	7		5					2
6				8			1	
5				9			7	

რთული

		8	7			5	3	
	3							
	6		4					
3	2			1		8		4
5		9		2			6	3
					5		9	
							7	
	4	1			3	6		

ექსპერტი

2								5
	9		6			3	7	
				3	2	1		
5		8	7					
	2						5	
					3	8		9
		2	8	6				
	5	3			1		8	
4								6

შაქრის შემცვლელები – სასარგებლო თუ მავნე პროდუქტი

დღემდე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმის თაობაზე, მავნეა თუ არა შაქრის შემცვლელები, თუმცა ისინი მეტად პოპულარულია იმ ადამიანებში, ვისაც ჭარბი წონა ან დიაბეტი აწუხებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს პროდუქტი შეიძლება იყოს როგორც უსაფრთხო, ისე საშიში ადამიანის ორგანიზმისთვის, მით უმეტეს, რომ არსებობს ნატურალური და სინთეტიკური შაქრის შემცვლელები.

ნატურალურია ფრუქტოზა, ქსილიტი და სორბიტი... ისინი, ძირითადად, ნახშირწყლებისგან შედგება, ნელა შეიწოვება კუჭში და არ იწვევს ინსულინის მკვეთრ გამომუშავებას. ეს თვისება განსაკუთრებით სასარგებლოა დიაბეტიანებისთვის, თანაც ნატურალური შემცვლელები შაქარზე გაცილებით ტკბილი და კალორიულია.

სინთეტიკურს მიეკუთვნება აცესულფამი, ციკლამატი და სახარინი. ისინი ენაზე სიტკბოს ნერვულ იმპულსს იწვევს და ამიტომაც დამატკბობლებს უწოდებენ, თუმცა სინთეტიკური შემცვლელები არ აითვისება ორგანიზმის მიერ და არ აქვს ენერგეტიკული ღირებულება. მათი კალორიულობა ნულის ტოლია, მაგრამ შაქარზე ტკბილია.

ბევრს მიაჩნია, რომ ნატურალური შემცვლელები ხელს უწყობს წონაში მატებას კალორიულობის გამო, თუმცა, სინამდვილეში, ზედმეტ კილოგრამებს სინთეტიკური შემცვლელები იწვევს. აცესულფამი გვხვდება სხვადასხვა პროდუქტში, მას შეუძლია გამოიწვიოს ალერგია და ნაწლავების მუშაობა შეაფერხოს. სახარინი კიდევ ერთი იაფი შაქრის შემცვლელია, რომელიც მცირე რაოდენობით გამოიყენება, პროდუქტს რომ სიტკბო მისცენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორივე შემცვლელი ორგანიზმისთვის მავნეა, რადგან ახალი გამოკვლევის თანახმად, შარდის ბუშტის კიბოს იწვევს. ბევრს აინტერესებს მავნეა თუ არა ასპარტამიც? ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ის შეიძლება ნატურალურ საკვებ დანამატს გავუთანაბროთ. სხვები ფიქრობენ, რომ მასში შემავალი მჟავები ბევრი დაავადების მიზეზია, ამიტომ სჯობს, თავი შევიკავოთ ამ შაქრის შემცვლელისგან, ვიდრე მის ყველა თვისებას დაადგენენ. სპეციალისტები გვირჩევენ, არ მოვიხმაროთ ნებისმიერი სინთეტიკური დანამატი საკვებში, რადგან, მიუხედავად ნულოვანი კალორიულობისა, ხელს უწყობს ზედმეტი საკვების მიღებას და შეიცავს ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს.

მეცნიერებმა სიმსივნის ეპიდემია აღიარეს

სიმსივნის კვლევის საერთაშორისო სააგენტომ პლანეტაზე არსებული ამ სენის ბოლო სტატისტიკასა და ონკოდაავადებით გარდაცვლილთა რაოდენობაზე დაყრდნობით, სიმსივნის საგანგაშო ტემპით ზრდა დააფიქსირა. ოფიციალურ დასკვნაში ნათქვამია, რომ კიბო დედამიწის მცხოვრებთათვის ეპიდემიად იქცა და 2030 წლისთვის ონკოდაავადებულთა რაოდენობა ორჯერ გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობაში პროგრესი შეინიშნება, პრობლემის გადაჭრის გზებს ვერ ვპოულობთ, ერთადერთი საშუალება ადრეული დიაგნოსტიკაა, რომელიც საშუალებას იძლევა, დროულად ჩავერიოთ და გავაუმჯობესოთ შედეგები. 2012 წელს მსოფლიოში დაავადებულთა რიცხვმა 14 მილიონს მიაღწია, უახლოეს მომავალში კი 22 მილიონამდე გაიზრდება, — აღნიშნავს ორგანიზაციის დირექტორი კრისტოფერ უაილდი და მოუწოდებს პლანეტის მოსახლეობას, პროფილაქტიკისა თუ პრევენციის მიზნით, დროულად ჩაიტარონ დიაგნოსტიკა.

„სწრაფი მომსახურების" კლინიკა ავსტრიელებისთვის

ავსტრიელმა მედიკოსმა დიტერ ზეკელმა „სწრაფი მომსახურების" პოლიკლინიკა გახსნა ვენაში, კომპანია Eni-ის ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე და პაციენტებს რიგში დგომისას შეუძლიათ მანქანა გარეცხონ, საწვავი ჩაასხან ან საყიდლებზე სუპერმარკეტში შეიარონ... როგორც ზეკელი აცხადებს, პოლიკლინიკა ყოველდღე, დილის ექვსიდან საღამოს ათ საათამდე იმუშავებს და თერაპევტთან 15-წუთიანი კონსულტაცია 50 ევრო ეღირება და თან წინასწარ ჩაწერაც არაა საჭირო. რასაკვირველია, დაწესებულება ადგილობრივი მედიკოსების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა — ზოგი მიიჩნევს, რომ ასეთ კლინიკაში ნაკლებია ზუსტი დიაგნოზის დასმის ალბათობა, თუმცა „სწრაფი მომსახურების" პოლიკლინიკის მფლობელი აცხადებს, რომ შემთხვევათა 80%-ში თერაპევტთან გასაუბრება სავსებით საკმარისია დაავადების განსასაზღვრად. დიტერ ზეკელი ადრე საავადმყოფოში ანესთეზიოლოგად მუშაობდა, იყო სასწრაფო დახმარების ექიმიც, ნატო-სა და გაერო-შიც მუშაობდა მთავარ ექიმად.

ასპირინი აბრმავებს

ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, მათ, ვინც რეგულარულად მოიხმარს ასპირინს, უფრო ხშირად აწუხებთ თვალის დაავადებები, რაც საბოლოოდ სიბრმავეს იწვევს. სწავლულებმა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან ეს დამოკიდებულება აღმოუჩინეს პაციენტებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში მაინც იღებდნენ ასპირინს სისხლის გასათხელებლად, თრომბოზის პროფილაქტიკისთვის. მედიკოსების განცხადებით, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი პროცენტი ადრე თუ გვიან, თვალის ამ პრობლემას აწყდება. მკვლევარებმა 20 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ შეისწავლეს 43 წელს გადაცილებული 5 ათასი პაციენტის ისტორია და აღმოაჩინეს, რომ ასპირინის მიღების პერიოდში ამ ოფთალმოლოგიური დაავადების სხვადასხვა ფორმა გამოუვლინდათ; ისიც დაადგინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ პრეპარატის მკურნალობა არ იწვევს მსგავს რისკს.

ტელეკომპანია „თრიალეთი"

032 239 38 23
599 25 13 31

რეკლამა „თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

1.უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი
2. დარტანიანის სატრფოს სახელი
3.ტრიგონომეტრიული ფუნქცია
4.ძლიერი განცდის გამოვლენა
5.დედამიწის უმაღლესი მწვერვალი
6. საბაღო დეკორატიული ხელოვნება
7. თავბრუსხვევა
8. „ჯეინ ეირის“ ავტორი
9. ფრჩხილების აკვიატებული კვნეტა
10.მე-16 ს. იტალიელი პოეტი
11.ჭრიჭინას ერთ-ერთი ბებია
12.„მილანის“ ექსკაპიტანი ... მალდინი
13. ბეწვის პალტო
14. მღვდლის ცოლი
15. იაზონის ხომალდი
16.საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი
17. პატარა ტყე მინდორში
18.წვრილად დაჭრილი მოხარშული ბოსტნ. კერძი
19. თმის საშრობი ხელსაწყო
20. ფილიპინების უმაღლესი მწვერვალი
21. ჰომეროსის პოემა
22. თავის ტვინის „რეზერვუარი“
23. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
24. ფენოვანი ქანი
25.სირიის უდიდესი ქალაქი
26. ძველებური განიერი კაბა
27. ფლორენციის სურათების გალერეა
28. ღვინის ობი
29. მათემატიკური მუდმივა
30. ვაგნერის ოპერა
31. ფრანგი მომღერალი
32. „... ჩვენი არსობისა“
33. ძაღლის ჯიში
34.ძველეგვიპტ. მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება
35.დარდიმანდიანცის სახელი „ხანუმაში“
36.რობინზონ კრუზოს ლიტერატურული „მამა“
37.მხარეთა თანასწორობის პრინციპი
38.ადამიანი, რომელსაც სმენა არ აქვს
39.ინდოეთის საკურორტო შტატი
40. მოულოდნელი შემოწმება
41. ხევისბერი გორას ვაჟი
42.ფასიანი ქაღალდების გამოშვება
43. სუსტი ქარი, ნიავი
44. სრული მსგავსება
45.ამდენი წელი ელოდა პენელოპე ოდისევსს
46.მლაშე კულინარიული ფხვნილი
47.ბავშვის სასრიალო მარხილი
48. ჰომოსექსუალი მამაკაცი
49.ეშმაკი, ავი სული ყურანში
50.მთვარის ორბიტის უახლოესი წერტ. დედამიწისგან
51. დირიჟორის სამოსი
52.ფრანგი მსახიობი სოფი ...
53.კუნძულ კრეტის უმაღლესი მწვერვალი
54. ყაზახეთის დედაქალაქი
55.წმინდა ნინოს დედა
56.ტარიელის მსახური ქალი „ვეფხისტყაოსანში“
57. ერთ-ერთი მუშკეტერი
58.ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
59.ზღვის დიდი კიბო
60. გამანადგურებელი ღვთაება ინდუს. სამეგბაში
61.მატერიის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია
62. „თორმეტი სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
63.უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ძვ. რომში
64. მორეგისაგან შეკრული სამდინარო ტრანსპორტი
65. მუსლიმანთა „მღვდელი“
66. ტოპმოდელი ... კემპბელი
67. მხარე იმერეთში
68. ნაბიჯი ბალეტში
69.ცომის ასაფხეკი ნიჩაბი
70.ორგანიზმის ზუსტი გენეტიკური ასლი
71.ჩვილი ბავშვის I სიტყვა
72.ჯერდის ოპერა „...-მასკარადი“
73.ძველი ებრაელი წინასწარმეტყველი
74. გმირი არაგველების რაოდენობა
75.ამირანის ერთ-ერთი ძმა
76. „მოსაწევი“ ნარკოტიკი“
77.უმეცრესი ორნიშნა რიცხვი
78. ბელგიელი მეგიოლინე
79. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
80. მუსიკალური გამის VII ნოტი
81. მოხარშული ბრინჯის კერძი
82. კუზიანი ხარი
83. იგივე კეთრი
84.თვითმფრ. ბორბლები
85.ხეროთმოძღვრული ძეგლი „...-სოფია“

ოფისში მუშაობა ქალებისთვის მავნეა

სპეციალისტებმა ვანკუვერიდან განაცხადეს, რომ ოფისში მუშაობა ქალისთვის ადრეული სიკვდილის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად განიხილება. კანადელი მედიკოსები აცხადებენ, რომ ოფისში მუშაობის გამო, სიცოცხლის ხანგრძლიობა 9 წლით მცირდება. თუ სუსტი სქესის წარმომადგენელი ასეთ სამსახურს მიატოვებს და უარს იტყვის მოწევაზე, ალკოჰოლის მიღებასა და ფასტფუდზე, სიცოცხლის გახანგრძლივება სწორედ 9 წლითაა შესაძლებელი. ოფისში მუშაობა, უპირველესად, ქალებს იმის გამო ვნებს, რომ იქ ნაკლებად მოძრაობენ, რაც გულსისხლძარღვთა დაავადებებს, წონაში მატებას, შაქრიან დიაბეტს იწვევს. ჯანმრთელობას აზიანებს ასევე ჟანგბადის ნაკლებობა, რადგან ოფისში მომუშავე ადამიანები ძალიან ცოტა დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე. ასეთი სამსახურის გამო ორგანიზმი იფიტება, ართმევს ქალს ჯანმრთელობასა და სილამაზეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.